



ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-15. 1523044001

თარიღი:13/02/2023

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების
მუნიციპალური ნარჩენების
მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, თანახმად დანართისა.
2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

2023-2027 წწ.

(2018-2022 წლების გეგმის განახლებული ვერსია)

დოკუმენტი მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

© UNDP Georgia, 2022



ტერმინთა განმარტება:

- **ნარჩენი** – ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;
- **სახიფათო ნარჩენები** – ნარჩენები, რომლებსაც ნარჩენების მართვის კოდექსის III დანართით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი;
- **არასახიფათო ნარჩენები** – ნარჩენები, რომლებსაც არ მოიცავს „სახიფათო ნარჩენების“ განმარტება;
- **საყოფაცხოვრებო ნარჩენები** – საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;
- **მუნიციპალური ნარჩენები** – საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებითა და შემადგენლობით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია;
- **ინერტული ნარჩენები** – ნარჩენები, რომლებიც არ განიცდის მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს – არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას;
- **ბიოდეგრადირებადი ნარჩენები** – ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარება ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ცხოველის საკვების ნარჩენები, ბადის/პარკის ნარჩენები, ქაღალდი, მუყაო;
- **სამედიცინო ნარჩენები** – სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ წარმოქმნილი ნარჩენები;
- **ცხოველური ნარჩენი (ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი)** – ცხოველის სხეული ან მისი სხეულის ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი ან ცხოველისგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) No 1069/2009 რეგულაციის შესაბამისად;
- **სპეციფიკური ნარჩენი** – ისეთი პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენი, რომელიც თავისი მახასიათებლებისა და ფართო გავრცელების გამო ნარჩენად გადაქცევის შემდეგ მართვის სპეციფიკური ზომების მიღებასა და მოვლას საჭიროებს (შეფუთვა, ზეთი, საბურავი, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, ბატარეა, აკუმულატორი, ელექტრო- და ელექტრონული მოწყობილობები და სხვა);
- **ნარჩენების წარმომქმნელი** – პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენები (ნარჩენების თავდაპირველი წარმომქმნელი), ან პირი, რომელიც ახორციელებს ნარჩენების წინასწარ დამუშავებას, შერევას და სხვა საქმიანობას, რომლის შედეგადაც ნარჩენების მახასიათებლები ან შემადგენლობა იცვლება;
- **ნარჩენების გადამზიდველი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ნარჩენების ტრანსპორტირებას;
- **ნარჩენების მართვა** – ნარჩენების შეგროვება, დროებითი შენახვა, წინასწარი დამუშავება, ტრანსპორტირება, აღდგენა და განთავსება, ამ საქმიანობების, ღონისძიებებისა და ოპერაციების ზედამხედველობა და ნარჩენების განთავსების ობიექტების შემდგომი მოვლა;

- **ნარჩენების დამუშავება** –ნარჩენების მართვის კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული აღდგენის და განთავსების ოპერაციები, აგრეთვე ნარჩენების წინასწარი დამუშავება აღდგენამდე ან განთავსებამდე;
- **ნარჩენების წინასწარი დამუშავება** – ნარჩენების მართვის კოდექსის I დანართის R12 კოდით და II დანართის D13 კოდით განსაზღვრული წინასწარი ოპერაციები, რომლებიც ნარჩენების აღდგენამდე ან განთავსებამდე ხორციელდება;
- **აღდგენა** – საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების სასარგებლო მიზნებისთვის გამოყენება იმ მასალების ჩანაცვლებით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული, და რომელიც განსაზღვრულია, მაგრამ არ შემოიფარგლება ამ კოდექსის I დანართით. აღდგენა მოიცავს რეციკლირებას;
- **ხელახალი გამოყენება** – ნარჩენად გადაქცევამდე პროდუქტის ან/და მისი კომპონენტის თავდაპირველი დანიშნულებით ხელახლა გამოყენება;
- **რეციკლირება** – აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენი ისეთ პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად გარდაიქმნება, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებით ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის აღდგენას და მათ ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის გამოიყენება;
- **ნარჩენების დამუშავების ობიექტი** – სტაციონარული ან მობილური ტექნიკური ან არატექნიკური დანაყოფი, სადაც ხორციელდება ნარჩენების დამუშავება (მათ შორის, ნარჩენების გადამტვირთავი სადგური, სხვა ადგილი, სადაც მოწყობილია ასეთი ობიექტი);
- **ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი** – ობიექტი, სადაც ინახება ნარჩენები 3 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისთვის, ან 1 წელზე ნაკლები დროით, თუ ნარჩენები განკუთვნილია განთავსებისთვის;
- **ნარჩენების გადამტვირთავი სადგური** – ობიექტი, სადაც ხორციელდება ნარჩენების გადატვირთვა ნარჩენების დამუშავების ობიექტზე შემდგომი ტრანსპორტირებისათვის;
- **ნაგავსაყრელი** – ნარჩენების განთავსების ობიექტი, სადაც ნარჩენები მიწაზე ან მიწის ქვეშ განთავსდება. ნაგავსაყრელი მოიცავს ნარჩენების განთავსების შიდა ობიექტს (საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელი, რომელზედაც ნარჩენების წარმომქმნელი კუთვნილ ნარჩენებს განათავსებს), მაგრამ არ მოიცავს ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტს და ნარჩენების გადამტვირთავ სადგურს;
- **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება** – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად გაცემული გადაწყვეტილება.
- **ქალაქთმშენებლობითი გეგმა** – გენერალური გეგმა, განაშენიანების გეგმა ან/და განაშენიანების დეტალური გეგმა, რომელიც არის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ქალაქთმშენებლობითი გეგმა შეიძლება მომზადდეს ქალაქისთვის, დაბისთვის, სოფლისთვის;

შინაარსი

შესავალი.....	8
1 გეგმის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი	9
2 არსებული მდგომარეობის აღწერა	10
2.1 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები	10
2.2 წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა	14
2.2.1 საყოფაცხოვრებო ნარჩენები	14
2.2.2 საწარმოების, ორგანიზაციების/კომერციული დაწესებულებების საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები	16
2.2.3 ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები	17
2.2.4 სახიფათო ნარჩენები	17
2.2.5 ბიოდეგრადირებადი/მწვანე ნარჩენები.....	18
2.1 ნარჩენების შემადგენლობა	18
2.2 ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება	21
2.3 ნარჩენების მოსაკრებელი და მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის დაფინანსება	22
2.3.1 მოსაკრებელი	22
2.3.2 ბიუჯეტი და ხარჯები	26
2.4 ნარჩენების განთავსების ობიექტები.....	29
2.4.1 არსებული ნაგავსაყრელი	29
2.4.2 ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელი	31
2.4.3 არაკანონიერი ნაგავსაყრელები	34
2.1 ნარჩენების ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა	36
2.1.1 ნარჩენების სეპარირებული შეგროვება	36
2.1.2 ნარჩენების დამუშავების ობიექტები	40
3 დაგეგმვის ნაწილი	44
3.1 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმის ანალიზი	44
3.2 დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა	54
3.3 ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული გამოწვევები	57
3.3.1 ინფრასტრუქტურული ნაკლოვანებები.....	58
3.3.2 გამოცდილების ნაკლოვანება	60
3.3.3 სოციო-კულტურული თავისებურებები	67
3.3.4 ადმინისტრაციული ნაკლოვანებები.....	68
4 2023-2024 წლების დეტალური სამოქმედო გეგმა	70
5 2023-2027 წლების სამოქმედო გეგმა.....	76
6 რეკომენდაციები	89
7 დანართები	92
დანართი 1. ინფორმაცია შპს „სანდასუფთავების“ ბალანსზე არსებული ტექნიკის შესახებ	92
დანართი 2. ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიების/პირების ნუსხა	94
დანართი 3. სპეციფიკური ნარჩენების შეგროვების მინიმალური მიზნობრივი მაჩვენებლები	97

დანართი 4. შეხვედრებში მონაწილე პირთა ნუსხა..... 99

ცხრილები

ცხრილი 2-1. ქალაქ ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა 2018-2022 წწ..... 12

ცხრილი 3-1. ქ. ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა 2012-2022 წწ., ათასი კაცი..... 13

ცხრილი 3-2. მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზი 2023-2027 წწ..... 14

ცხრილი 2-2. 2018-2022 წლებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა თვეების მიხედვით 14

ცხრილი 2-3. ნარჩენების მორფოლოგიურ შემადგენლობის სეზონური კვლევის შედეგი 19

ცხრილი 2-4. ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის კვლევის შედეგები 19

ცხრილი 2-5. ინფორმაცია ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ნარჩენების კონტეინერების შესახებ 21

ცხრილი 2-6. ბათუმის იმ მოსახლეობის და ორგანიზაციები რაოდენობა, რომელიც რეგისტრირებულია მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურების მომხმარებლად.. 26

ცხრილი 2-7. ოჯახებისთვის დარიცხული და მათ მიერ გადახდილი ნარჩენების მართვის მოსაკრებლების შედარება, ლარი 27

ცხრილი 2-8. ორგანიზაციებისთვის დარიცხული და მათ მიერ გადახდილი ნარჩენების მართვის მოსაკრებლების შედარება, ლარი 27

ცხრილი 2-9. ბათუმში ოჯახებისა და ორგანიზაციების მიერ გადახდილი ნარჩენების მოსაკრებლები, ლარი..... 27

ცხრილი 2-10. მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხები, ლარი 28

ცხრილი 2-11. შპს სანდასუფთავების შემოსავალი, ლარი/წელი 28

ცხრილი 2-12. ყველა სახის ნარჩენების შეგროვებასთან, ტრანსპორტირებასა და განთავსებასთან დაკავშირებული შპს სანდასუფთავების საოპერაციო ხარჯები კატეგორიების მიხედვით, ლარი/წ 28

ცხრილი 2-13. ყველა სახის ნარჩენების შეგროვებასთან, ტრანსპორტირებასა და განთავსებასთან დაკავშირებული შპს „სანდასუფთავების“ კაპიტალური ხარჯები კატეგორიების მიხედვით, ლარი 29

ცხრილი 4-1. ბათუმის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ანალიზის ცხრილი..... 44

ცხრილი 8-1. შპს „სანდასუფთავების“ ბალანსზე არსებული ტექნიკის ნუსხა..... 92

ილუსტრაციები

ილუსტრაცია 2-1. ნაგავსაყრელზე არსებული მდგომარეობა..... 30

ილუსტრაცია 2-2. საბურავებით დაბინძურებული ტერიტორია 31

ილუსტრაცია 2-3. ილუსტრაცია ნარჩენებით დაბინძურებული მდინარე ჭოროხის მიმდებარე ტერიტორია..... 34

ილუსტრაცია 2-4. პროექტის ფარგლებში, ქალაქ ბათუმში განთავსებული კონტეინერები..... 37

ილუსტრაცია 3-1. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის ფოტომასალა 54

ილუსტრაცია 3-2. კერძო სექტორთან შეხვედრის ფოტო-მასალა..... 55

ილუსტრაცია 3-3. მგვ ორგანიზაციებთან შეხვედრის ფოტომასალა 55

ილუსტრაცია 3-4. ნარჩენების მართვის გეგმის საჯარო განხილვის ფოტო-მასალა 56

ილუსტრაცია 3-5. პრობლემების ხე..... 58

ილუსტრაცია 3-6. ავტომობილებით ბლოკირებული ნარჩენების კონტეინერები 59

ილუსტრაცია 3-7. ტროტუარებზე განთავსებული ნარჩენების შეგროვებისთვის განკუთვნილი კონტეინერები..... 59

ილუსტრაცია 3-8. შერეული მუნიციპალური ნარჩენები პლასტიკის ბოთლებისა და ალუმინის ქილების სეპარირებისთვის განკუთვნილ კონტეინერში 67

რუკები

რუკა 2-1. ქალაქი ბათუმი საზღვრები ადმინისტრაციულ ერთეულების მიხედვით 11

რუკა 2-3. არსებული ნაგავსაყრელი 30

რუკა 2-4. რეგიონული ნაგავსაყრელის და საპროექტო გადამტვირთი სადგურის რუკა 33

რუკა 2-2. ქალაქ ბათუმში განლაგებული კონტეინერები პლასტიკის ბოთლებისთვის 37

რუკა 2-5. ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიების განლაგება..... 43

შესავალი

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“, რომელიც რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს, ხოლო სრულიად შევიდა ძალაში 2016 წლის 1 ივლისს.

შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს მხარემ აიღო ვალდებულება საქმიანობის ყველა სფერო მიახლოვოს ევროკავშირში არსებულ სტანდარტებთან და დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები. შეთანხმების მე-3 თავი ეხება გარემოს დაცვას, რომლის მიხედვითაც მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში.

შეთანხმების XXVI დანართში წარმოდგენილია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელთა შესრულება საქართველოსთვის სავალდებულოა ასოცირების შეთანხმების ფარგლებში. ნარჩენების მართვის კუთხით საქართველომ 3 დირექტივის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე აიღო ვალდებულება, ეს დირექტივებია:

- *2008 წლის 19 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/98/EC დირექტივა ნარჩენების შესახებ*
- *1999 წლის 26 აპრილის საბჭოს 1999/31/EC დირექტივა ნაგავსაყრელების შესახებ (EC) N 1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად*
- *2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/21/EC დირექტივა მოპოვებითი მრეწველობიდან წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ*

„2008 წლის 19 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/98/EC დირექტივა ნარჩენების შესახებ“ დირექტივის ფარგლებში საქართველომ ეროვნული კანონმდებლობის მიღებისა და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრის ვალდებულება აიღო. 2015 წლის 12 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომლის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ნარჩენების მართვის სფერო მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება. ხოლო მე-13 მუხლის თანახმად თითოეული მუნიციპალიტეტი იღებს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიან გეგმას.

ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა, ხოლო საკრებულომ დაამტკიცა (ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №79 განკარგულება, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ) მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა (2018-2022). წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ბათუმის მუნიციპალური ნარჩენების მართვის განახლებულ 5 წლიან გეგმას (2023-2027), რომელიც მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მხარდაჭერით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანია მის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება, არსებული გამოწვევების გადაჭრის გზების მოძიება და

აღსრულება იმგვარად, რომ ისინი პასუხობდნენ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

1 გეგმის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

საქართველოში ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოს ეკისრება.

ნარჩენების მართვის ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავება, განხორციელებასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

არასახიფათო ნაგავსაყრელების ფუნქციონირებაზე, მათ შორის, მათ მშენებლობაზე, ფუნქციონირებასა და დახურვაზე, აგრეთვე, ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მშენებლობასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, კერძოდ, სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

ხოლო „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-6 მუხლის, პუნქტი მე-9-ს თანახმად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებზე არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, ოპერირება და დახურვა განეკუთვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების კომპეტენციას“.

ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ მთავრობებს, რომლებიც კანონის - “ნარჩენების მართვის კოდექსი” თანახმად პასუხისმგებელი არიან ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. კერძოდ, საუბარია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე, ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე თავიანთი ადმინისტრაციული ტერიტორიების ფარგლებში.

კანონის “ნარჩენების მართვის კოდექსი” მე-13 მუხლის თანახმად თითოეული მუნიციპალიტეტი იღებს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიან გეგმას. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა შესაძლებელია მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებმა ერთობლივად შეიმუშაონ.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმას და ნარჩენების მართვის კოდექსის მე-12 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ ცალკეული სახეობების (მდგრადი ორგანული დამბინძურებლები, ვერცხლისწყალი, სამედიცინო ნარჩენები, ცხოველური ნარჩენები, აზბესტის ნარჩენები და სხვა.) ნარჩენების მართვის გეგმებს.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს:

- ა) მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ ინფორმაციას;
- ბ) შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ მონაცემებს;

- გ) მოსახლეობისგან შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ მონაცემებს;
- დ) ნარჩენების დამუშავების საწარმოების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას;
- ე) მუნიციპალური ნარჩენების, მათ შორის, ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და შეფუთვის ნარჩენების, სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემის დანერგვისათვის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;
- ვ) ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმებს;
- ზ) ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებს;
- თ) ნარჩენების მართვის სფეროში სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მიზნით არსებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;
- ი) გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების გზებსა და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სავარაუდო ხარჯებს და დაფინანსების წყაროებს.

2 არსებული მდგომარეობის აღწერა

2.1 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები

ქ. ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრები 6494.3 ჰა-ს მოიცავს. ბათუმის მუნიციპალიტეტში არსებული ადმინისტრაციული ერთეულები და მათი საზღვრები დამტკიცებულია ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N29 დადგენილებით „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“. ასევე, მოცემულ დადგენილებაში 2018 წლის 16 მარტის ცვლილებით, რომელიც განხორციელებულია დადგენილება N31-ის სახით.

დღეის მდგომარეობით, ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დადგენილებების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულები:

- ა) ძველი ბათუმის ადმინისტრაციული ერთეული;
- ბ) რუსთაველის ადმინისტრაციული ერთეული;
- გ) ხიმშიაშვილის ადმინისტრაციული ერთეული;
- დ) ბაგრატიონის ერთი ადმინისტრაციული ერთეული;
- დ1) ბაგრატიონის ორი ადმინისტრაციული ერთეული;
- ე) აღმაშენებლის ადმინისტრაციული ერთეული;
- ვ) ჯავახიშვილის ადმინისტრაციული ერთეული;
- ზ) თამარის ადმინისტრაციული ერთეული;
- თ) ბონი-გოროდოკის ადმინისტრაციული ერთეული;
- ი) აეროპორტის ადმინისტრაციული ერთეული;
- კ) გონიო-კვარიათის ადმინისტრაციული ერთეული;
- ლ) კახაბრის ადმინისტრაციული ერთეული;
- მ) ბათუმის სამრეწველო ადმინისტრაციული ერთეული;
- ნ) მწვანე კონცხის ადმინისტრაციული ერთეული.

კლიმატური თვალსაზრისით, ქალაქ ბათუმში გავრცელებულია ზღვის სუბტროპიკული კლიმატის ნოტიო ოლქის ჰავა. ტერიტორიის ნაწილი (სანაპირო ზოლი) მიეკუთვნება ზღვის ნოტიო კლიმატურ ზონას რბილი, თბილი, უთოვლო ზამთრით და ცხელი ზაფხულით. აღნიშნული ზონის ფარგლებში, რომელიც ვრცელდება კოლხეთის დაბლობზე, კლიმატური თავისებურებებით გამოიყოფა რამდენიმე ქვეზონა. მათ შორის, აჭარის სანაპირო ზოლი, რომელსაც მიეკუთვნება ქალაქი ბათუმი და სადაც ზონის დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით, ჭარბად ნოტიო კლიმატია მთელი წლის მანძილზე გაბატონებული ზღვიდან მონაბერი ქარებით.

სანაპირო შავი ზღვის უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფება. ადგილის რელიეფი ასევე განაპირობებს ნალექების სიუხვეს დასავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრის დროს. შედეგად, აჭარის სანაპირო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე გამოირჩევა თბილი, რბილი და ტენიანი კლიმატი.

ქალაქ ბათუმის კლიმატური პირობების დახასიათებისთვის გამოყენებულია „ბათუმი ქალაქი“-ს სადამკვირვებლო სადგურის მონაცემები სამშენებლო კლიმატოლოგია (პნ 01.05-08)-ს მიხედვით¹:

„ბათუმი ქალაქი“-ს დაკვირვების სადგურის მონაცემები:


- ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა: -9;
- ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა: +41;
- ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: +14.5;
- ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში): 81%
- ნალექების რაოდენობა წელიწადში: 2599 მმ;
- ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში: 231 მმ;
- ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში: 840 მმ;
- თოვლის საფარის წონა: 0.5 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი: 10.

ბოლო მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საქართველოში 2014 წელს ჩატარდა, რომლის მიხედვითაც ქალაქ ბათუმში 152839 მოსახლე ცხოვრობდა. მოსახლეობის რაოდენობა სქესის მიხედვით შემდეგნაირად იყო გადანაწილებული: 72757 მამაკაცი, 80082 ქალი. 2018-2022 წლებში, ქალაქ ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა წარმოდგენილია ცხრილში 2-1.

ცხრილი 2-1. ქალაქ ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა 2018-2022 წწ.

	2018	2019	2020	2021	2022
საქართველო	3,729.6	3,723.5	3,716.9	3,728.6	3,688.6
აჭარის ა/რ	346.3	349.0	351.9	354.9	355.5
ბათუმი	163.4	166.0	169.1	172.1	173.7

¹ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს 1-1/1743 ბრძანებით დამტკიცებული `სამშენებლო კლიმატოლოგია (პნ 01.05-08).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლები შესაძლოა არ ასახავდეს რეალურ მაჩვენებლებს და ქალაქ ბათუმში მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობა უფრო მეტი იყოს. თუმცა, ცხრილში მოცემული მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეინიშნება მოსახლეობის რაოდენობის მატების ტენდენცია, რაც მომდევნო წლებშიც შენარჩუნდება.

მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზი

საერთო ჯამში 2012 წლიდან 2022 წლამდე ქალაქ ბათუმის მოსახლეობამ 22 800 ადამიანით მოიმატა, რაც 15.5%-ის (საშუალოდ 1.51% ყოველწლიურად) ტოლია.

ცხრილი 2-2. ქ. ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა 2012-2022 წწ., ათასი კაცი

წელი	საქართველო	აჭარის რეგიონი	ქ. ბათუმი
2012	3,739.3	331.9	150.9
2013	3,718.4	332.5	151.5
2014	3,716.9	333.2	152.2
2015	3,721.9	336.6	155.2
2016	3,728.6	340.2	158.2
2017	3,726.4	343.0	160.8
2018	3,729.6	346.3	163.4
2019	3,723.5	349.0	166.0
2020	3,716.9	351.9	169.1
2021	3,728.6	354.9	172.1
2022	3,688.6	355.5	173.7

წყარო: [01---mosaxleoba-TviTmarTveli-erTeulebi.xlsx \(live.com\)](#)

მოსახლეობის ზრდის ყოველწლიურ საშუალო მაჩვენებელს გავითვალისწინებთ, მომდევნო 5 წლის განმავლობაში ქალაქ ბათუმში მოსახლეობის რაოდენობის მატებას ექნება ადგილი.

ცხრილი 2-3. მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზი 2023-2027 წწ.

	2023	2024	2025	2026	2027
ქ. ბათუმი	176322	178984	181626	184368	187151

აღსანიშნავია, რომ 2012-2022 წწ. პერიოდში ქალაქ ბათუმში საყოველთაო აღწერა მხოლოდ 2014 წელს ჩატარდა. სხვა წლების მონაცემები შედარებით არაზუსტია და შესაძლოა არ ასახავდეს რეალურ სურათს. 2023-2027 წლების მოსახლეობის პროგნოზი მიღებულია უხეში გათვლებით და შესაძლოა მასზე ზეგავლენა არაერთმა ფაქტორმა იქონიოს.

მუნიციპალური ნარჩენების მართის დაგეგმვის პროცესში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მოსახლეობის დინამიკასთან ტენდენციები.

2.2 წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა

2.2.1 საყოფაცხოვრებო ნარჩენები

ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე 2021 წლის საანგარიშო პერიოდში დაგროვილი მუნიციპალური ნარჩენების საერთო რაოდენობა 85880.28 ტონას შეადგენდა. აღნიშნული ნარჩენების დაგროვების მაჩვენებელი გაზრდილია, რაც ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების მომსახურების არეალის და მოსახლეობის რაოდენობის გაზრდით არის გამოწვეული.


ნარჩენების რაოდენობა სეზონების მიხედვით ცვალებადია. შესაბამისად, საკურორტო სეზონის პერიოდში ქალაქ ბათუმში დაახლოებით 330-380 ტონა მუნიციპალური ნარჩენების დაგროვება ხდება დღეში. სხვა პერიოდებში - 250 – 300 ტონის.

ცხრილი 2-4. 2018-2022 წლებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა თვეების მიხედვით


	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი ²
იანვარი	6054.47	6366.60	6367.60	5700.90	6455.00
თებერვალი	5420.38	5418.80	5864.70	4886.00	5728.20
მარტი	5947.82	6032.76	5866.30	5975.00	6350.00
აპრილი	6115.17	6137.50	4399.70	6048.60	7104.40
მაისი	6875.90	6800.80	5431.00	6360.00	7702.00
ივნისი	7393.10	8030.90	6477.00	7287.00	8450.00
ივლისი	9009.40	9494.40	8207.00	9782.00	10371.68
აგვისტო	9917.70	9732.90	8975.80	9348.40	11244.46
სექტემბერი	8456.00	8309.00	7167.40	8672.40	9320.00
ოქტომბერი	7098.30	7647.00	6617.20	7487.10	8872.00
ნოემბერი	6715.90	6809.80	5890.50	6865.50	
დეკემბერი	7174.00	6995.00	6300.00	7467.38	
სულ	86178.14	87775.46	77564.20	85880.28	81597.74

² არასრული

დიაგრამა 2-1. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა წლების მიხედვით, 2018-2022 წწ., ათასი ტონა



დიაგრამა 2-2. წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა თვეები მიხედვით, 2018-2022 წწ., ათასი ტონა.



როგორც ცხრილიდან და დიაგრამებიდან ჩანს, ყოველთვიურად წარმოქმნილი ნარჩენებს რაოდენობა მკვეთრად განსხვავებულია სეზონების მიხედვით. მაქსიმალური რაოდენობა ფიქსირდება ივლისი-აგვისტოს თვეებში, რაც დაკავშირებულია დამსვენებლების მკვეთრმატებასთან.

2019-2022 წლებში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა სხვა წლებთან შედარებით მკვეთრად იყო შემცირებული, რაც პირველ რიგში პანდემიას და მისგან გამოწვეულ ფაქტორებს უკავშირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში და დიაგრამებზე მოცემული რაოდენობები მოიცავს როგორც მოსახლეობიდან, ასევე ტურიზმის სექტორიდან, სხვადასხვა კომერციული და სამრეწველო ობიექტებიდან შეგროვებულ ნარჩენებს. აღნიშნულის გამო, მონაცემები მხოლოდ მოსახლეობაში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ზუსტი რაოდენობის შესახებ არ მოიპოვება.

ბათუმის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში (ბათუმის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი. პროექტის კომპლექსური შეფასება. არსებული მდგომარეობის კვლევა და მოსალოდნელი მოთხოვნა. პროექტის No. 82718) გამოთვლილი იქნა ქალაქ ბათუმში წარმოქმნილი ნარჩენების ინდექსი. საბაზისო წლად შეირჩა 2019 წელი (როგორც ყველაზე რეპრეზენტაციული მყარი მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის თვალსაზრისით), რადგან 2020 და 2021 წლებში, კოვიდ-19-ის გამო შემოღებული შეზღუდვების შედეგად, მყარი მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. ნარჩენებთან დაკავშირებული მონაცემები, რომლებიც მოპოვებულ იქნა კითხვარების საშუალებით და შპს „სანდასუფთავების“ ნარჩენების სააღრიცხვო დოკუმენტაციიდან (ნაგავსაყრელზე შესვლისას ხდება მყარი მუნიციპალური ნარჩენების აწონვა), შესაბამისად დაკორექტირდა. დემოგრაფიული მონაცემები აღებულ იქნა საქსტატის ვებ-გვერდიდან, ხოლო ტურიზმთან დაკავშირებული მონაცემები - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგებიდან. ტურისტებთან დაკავშირებით, გაკეთდა დაშვება, რომ ისინი აჭარაში საშუალოდ 3 დამეს ატარებენ. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგებში ცალ-ცალკე არ არის წარმოდგენილი მონაცემები მუნიციპალიტეტების და ქალაქებისა და სოფლების მიხედვით. მოცემულია მხოლოდ ბათუმისა და ქობულეთის ინფორმაცია.

საწყისი მონაცემების საფუძველზე გამოითვალა მუნიციპალიტეტებში ნარჩენების წარმოქმნის ინდექსი ცალ-ცალკე ქალაქებისა და სოფლებისათვის. ნარჩენების შერეულად შეგროვების არსებული პრაქტიკის გამო ვერ მოხერხდა ნარჩენების წარმოქმნის ინდექსის საყოფაცხოვრებო და კომერციული სექტორებისთვის ცალ-ცალკე განსაზღვრა, ამიტომ ნარჩენების წარმოქმნის ინდექსი წარმოადგენს იმ საყოფაცხოვრებო, ტურისტული და კომერციული და არაკომერციული ობიექტების ნარჩენების წარმოქმნის ინდექსების ერთობლიობას, რომლებსაც საერთო კონტეინერების სისტემა ემსახურება. გამოთვლების თანახმად, 2019 წელს ნარჩენების წარმოქმნის ინდექსი (ტურისტების ჩათვლელად) ბათუმის შემთხვევაში - 1.12 კგ იყო. ხოლო ტურისტების რაოდენობის გათვალისწინებით, ნარჩენების წარმოქმნის ინდექსი იზრდება და შეადგენს 1.19 -ს შეადგენს (კგ/ადამიანი/დღე).

წყარო: ბათუმის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი. პროექტის კომპლექსური შეფასება, საქართველო

2.2.2 საწარმოების, ორგანიზაციების/კომერციული დაწესებულებების საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები

ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო დაწესებულებებსა და სხვადასხვა კომერციულ ობიექტებს მომსახურებას შპს „სანდასუფთავება“ უწევს. მსგავსი ობიექტებიდან წარმოქმნილი ნარჩენების

(არასახოფათო, მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის მსგავსი) საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად გროვდება და თავსდება ნაგავსაყრელზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონაცემები დაწესებულებებიდან და კომერციული ობიექტებიდან შეგროვებული და ტრანსპორტირებული ნარჩენების რაოდენობების შესახებ არ მოიპოვება.

2.2.3 ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები

ინერტული ნარჩენები ისეთი ნარჩენებია, რომლებიც არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში, არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაზიანებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას. ინერტულ ნარჩენებს მიეკუთვნება, მაგალითად: სამშენებლო ნარჩენები -ცემენტი, აგურები, ფილები, მინა, ქვები/ხრეში და ნიადაგი (ნიადაგის ზედაპირული ფენის და ტორფის გარდა). სამშენებლო ნარჩენი შესაძლოა მცირე რაოდენობით შეიცავდეს ლითონს, პლასტმასს, ნიადაგს, ორგანულ მასალას, რეზინსა და სხვა, თუმცა ის არ უნდა მოიცავდეს ისეთ ნარჩენს, რომლებიც მნიშვნელოვნად დაზიანებულია არაორგანული ან ორგანული საშიში ნივთიერებებით.

ინერტული ნარჩენები უნდა განთავსდეს მხოლოდ ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელზე. საქართველოში ინერტული ნარჩენების განსათავსებლად სპეციალიზებული ნაგავსაყრელი(ები) არ არსებობს. ამდენად, ინერტული ნარჩენის განთავსება ამჟამად მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრულ ინერტული ნარჩენებისათვის გამოყოფილ დროებითი განთავსების ტერიტორიებზე ან, ძირითადად, მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე ხდება.

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით წარმოქმნება ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები, რომელთა განთავსება ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე ხდება. ნაგავსაყრელზე ნარჩენების შეტანა ხდება ყოველგვარი კონტროლის გარეშე. მონაცემები ყოველწლიურად წარმოქმნილი ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების შესახებ არ მოიპოვება. სავარაუდოა, რომ საშუალოდ, წელიწადში, ბათუმის ნაგავსაყრელ პოლიგონზე სხვადასხვა ფიზიკური თუ იურდიული პირის მიერ საამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს დაგროვებული - 30,000 მ³ -მდე მოცულობის სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები შედის.

2.2.4 სახიფათო ნარჩენები

ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით, სახიფათოა ნარჩენები, რომლებსაც აქვს ნარჩენების მართვის კოდექსის III დანართით გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი. სახიფათო ნარჩენების მართვა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალიტეტებისთვის, რადგან ოჯახებში წარმოქმნილი ნარჩენები ხშირად შეიცავს სახიფათო კომპონენტებს (ელექტრონიკის ნარჩენები, ბატარეები, ფლურესცენციული ნათურები, საღებავები, ზეთები, პესტიციდები და ა.შ). სახიფათო ნარჩენების შემადგენელი კომპონენტები შესაძლოა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს. ამჟამად საყოფაცხოვრებო ნარჩენების სახიფათო კომპონენტების სეპარირება არ ხდება, ხოლო მათი მართვის გამოცდილება და მწყობრი სისტემა ჩვენს ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს. აღნიშნული ნარჩენების აბსოლუტური უმეტესობა თავსდება სანქცირებულ და არასანქცირებულ ნაგავსაყრელებზე, რაც საქართველოს მთავრობის №421 დადგენილების („ნაგავსაყრელის

მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე) მიხედვით დაუშვებელია.

ხშირად, საწარმოებისა და სხვა კომერციული ობიექტების ფუნქციონირების ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო კატეგორიის ნარჩენები მუნიციპალური ნარჩენების კონტეინერებში თავსდება და, საბოლოოდ, აღნიშნული ნარჩენებიც მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე თავსდება.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებული კანონმდებლობა სახიფათო ნარჩენების წარმომქმნელებს ავალდებულებს³, რომ წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდეს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოებებში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების ნაკადების მართვა მეტ-ნაკლებად დარეგულირებული და კონტროლირებადია.

ქალაქ ბათუმში 2009 წლიდან მოქმედებს სამედიცინო დაწესებულებებში დაგროვებული ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და თერმული დამუშავების ერთიანი სისტემა. კერძოდ, 2009 წლიდან ბათუმის ნაგავსაყრელი პოლიგონის შესასვლელთან აშენებული და ექსპლუატაციაში გაშვებულ იქნა თერმული დამუშავების ინსინერატორი (ინსინერატორის ოპერირებას შპს „სანდასუფთავება“ ახორციელებს), სადაც დღის განმავლობაში დაახლოებით 400 კგ-მდე სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია ხდება. შესაბამისად, ქალაქ ბათუმში წლის განმავლობაში გროვდება დაახლოებით 100 ტონამდე სამედიცინო ნარჩენები.

2.2.5 ბიოდეგრადირებადი/მწვანე ნარჩენები

ქალაქ ბათუმში წარმოდგენილია რამდენიმე მსხვილი ობიექტი (ბათუმის ბულვარი, ბოტანიკური ბაღი, ცენტრალური პარკი და სხვა გამწვანებული სივრცეები), საიდანაც დიდი რაოდენობით მწვანე ნარჩენები წარმოიქმნება. გამწვანებული სივრცეების მოვლა-პატრონობის პერიოდში წარმოქმნილი მწვანე ნარჩენები გროვდება და არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე თავსდება.

მონაცემების წარმოქმნილი მწვანე ნარჩენების რაოდენობის შესახებ არ არსებობს, თუმცა, სავარაუდოა, რომ წარმოქმნილი მწვანე ნარჩენების საერთო რაოდენობა რამდენიმე ასეულ ტონას აღწევს.

2.1 ნარჩენების შემადგენლობა

2015-2016 წლებში USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ (WMTR) ფარგლებში ბათუმის ნაგავსაყრელზე განხორციელდა ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური კვლევა. კვლევა განახორციელა ამერიკულმა ორგანიზაცია ICMA-მა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-თან ერთად. კვლევის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

³ საქართველოს მთავრობის დადგენილება №661. 2019 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი, „ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ მუხლი 3:

1 ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი ოდენობის სახიფათო ნარჩენი წარმოიქმნება (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა), ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიმუშაოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.

ცხრილი 2-5. ნარჩენების მორფოლოგიურ შემადგენლობის სეზონური კვლევის შედეგი


ნარჩენების კატეგორია	%
ქაღალდი და მუყაო	14.7%
მინა	5.02%
ლითონები	1.73 %
პოლიეთილენი/პლასტმასი	16.68%
ბავშვის ჰიგიენური საფენი	5.89 %
ქსოვილები	6.81 %
ორგანული მასალები	36.6%
სამშენებლო ნარჩენები	6.0%
განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაქვემდებარებული ნარჩენები	1.81%
ტყავი და რეზინა	2.0%
სხვა ტიპის ნარჩენები	1.4%

2019 წელს, იმავე პროგრამის („ნარჩენების მართვის ტექნოლოგია რეგიონებში, ფაზა II“) ფარგლებში კვლავ ჩატარდა ქალაქ ბათუმის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის სეზონური კვლევა.


კვლევები დაიგეგმა 2 სეზონისათვის, გაზაფხული, 2019 წლის 25 აპრილიდან 1 მაისის და ზაფხული, 2019 წლის 6 ივლისიდან 12 ივლისის ჩათვლით, თითოეულ სეზონზე 7 დღე. საანალიზო ნიმუში (ერთი დღის) განისაზღვრა 100 კგ-ით. კვლევის პერიოდში შერეული საყოფაცხოვრებო ნარჩენები ხელით დახარისხდა და დახარისხებული ნარჩენები განთავსდა თითოეული კატეგორიის ნარჩენისათვის განკუთვნილ კონტეინერში, რის შემდეგაც განხორციელდა მათი აწონვა. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჩატარებულ კვლევებს შორის შედარებითი ანალიზი და სხვადასხვა კატეგორიის ნარჩენების პროცენტული გადანაწილება, ხოლო დიაგრამაზე წარმოდგენილია გასაშუალოებული მონაცემები.

ცხრილი 2-6. ნარჩენების მორფოლოგიური შემადგენლობის კვლევის შედეგები

ნარჩენების კატეგორია, %	I სეზონი აპრილი 2019 წ.	II სეზონი ივლისი 2019 წ.	საშუალო
ორგანული ნარჩენები	24.1	31.9	28.0
ქაღალდი და მუყაო	17.0	15.4	16.2
პოლიეთილენი/პლასტმასი	21.9	21.3	21.6
ქსოვილი (ტანისამოსი)	6.0	7.2	6.6
საამშენებლო	12.9	5.2	9.1
ჰიგიენური საფენი	3.9	1.3	2.6
მინის ტარა	4.1	8.5	6.3
განს. ზედამხ. დაქვემდებარებული	1.4	1.9	1.7
ჯართი	2.3	3.7	3.0
ტყავი/რეზინა	3.7	1.6	2.7
სხვა ნარჩენები	1.5	1.3	1.4
დანაკარგი	0.7	0.56	0.63



დიაგრამა 2-3. ნარჩენების საშუალო პროცენტული მაჩვენებლები



კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობაში რეციკლირებადი მასალების წილი საკმაოდ დიდია, რომელიც ნაგავსაყრელზე იყრება. ნარჩენების შემადგენლობაში ასევე დიდია ორგანული ან ნაწილობრივ ორგანული ნარჩენების წილი, რომელთა ნაგავსაყრელზე განთავსება ატმოსფერულ ჰაერში სათბურის გაზების, ძირითადად მეთანის და ნახშირორჟანგის, ემისიებს იწვევს.

2.2 ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება

ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისის ქალაქის მთელ მოსახლეობას მიეწოდება. მოსახლეობის დაახლოებით 98%-ს სერვისი მიეწოდება კონტეინერული სისტემით, მოსახლეობის 1%-ს ზარის სისტემით. დარჩენილ 1%-ს კი ნარჩენების შეგროვება მიწისქვეშე განთავსებული კონტეინერებით მიეწოდება. აღნიშნული სისტემა ბევრ ხარვეზთანაა დაკავშირებული, რის გამოც ბათუმის მერია პერიოდულად აუქმებს ასეთ ობიექტებს.

ზარის სისტემა კი მიეწოდება ქალაქის იმ სასოფლო ტიპის, ციცაბო ფერდობზე განლაგებულ საცხოვრებლებს, სადაც რელიეფის თავისებურებების გამო რთულდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების მიწოდება სპეციალური კონტეინერშიდებით და შესაბამისად, გამოიყენება ზარის სისტემა. ასეთ ტერიტორიას განეკუთვნება ადგილები, სადაც ნაგავშიდი სპეცტექნიკა ვერ გადაადგილდება. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული ტერიტორიის მოსახლეობა სარგებლობს ახლომდებარე ადგილებში განთავსებული კონტეინერებით, ახდენენ რა საკუთარი ძალებით წარმოქმნილი ნარჩენის მიტანას საერთო სარგებლობის კონტეინერებამდე.

შპს „სანდასუფთავების“ მიერ ქუჩების დასუფთავება ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება, ხოლო საცხოვრებელი სახლების ეზოების დაგვა-დასუფთავება თვეში 4-ჯერ. საერთო ჯამში ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სულ დაახლოებით 5240000 კვ.მ ფართობის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება ხორციელდება. ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურებაში ჯამში ჩართულია 699 ადამიანი.

ნარჩენების შეგროვებისთვის ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე განლაგებულია 3 832 ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერი. აქედან 25 ერთეული მიწისქვეშა კონტეინერია, 580 ერთეული დეკორატიული. დანარჩენი 3252 ერთეული საცხოვრებელ სახლებთან, ქუჩებში, საავტომობილო გზებთან, საწარმო დაწესებულებების ტერიტორიებზე და სხვა საზოგადოებრივ ადგილებშია განლაგებული.

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებული ნარჩენების კონტეინერების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 2-7. ინფორმაცია ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ნარჩენების კონტეინერების შესახებ

კონტეინერის სახეობა	მოცულობა	რაოდენობა/ერთეული
რკინა	1 100 ლიტრი	154
პლასტმასი	1 100 ლიტრი	3098
დეკორატიული (პლასტმასი)	50 ლიტრი	320
დეკორატიული (ქვის)	50 ლიტრი	260

შპს „სანდასუფთავება“ დასუფთავების მომსახურების მიწოდების დაგეგმვისათვის იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას, სადაც ასახულია მომსახურების მიწოდების არეალი და ნარჩენების შეგროვების კონტეინერების განთავსების ადგილები. პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მარშრუტების დაგეგმვა. ყოველდღიური საქმიანობის განხორციელების დროს მარშრუტების დაგეგმვა ხდება წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესაბამისად.

ნარჩენების შეგროვების მომსახურების გაწევისათვის შპს „სანდასუფთავების“ სამსახური მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის საშუალოდ ყოველდღიურად იყენებს 34 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებას (სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია [დანართში 1](#)), რომლებიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. შპს „სანდასუფთავების“ მიერ პერიოდულად ხდება სატრანსპორტო საშუალებებისა და კონტეინერების განახლება.

სამშენებლო ნარჩენის ნაგავსაყრელზე გატანას უზრუნველყოფს თავად სამშენებლო ნარჩენის წარმომქმნელი. რიგ შემთხვევებში, საჭიროებისამებრ, ხელშეკრულების საფუძველზე, „სანდასუფთავება“ ნარჩენის წარმომქმნელს უწევს სატრანსპორტო მომსახურებას და ახდენს სამშენებლო ნარჩენების ტრანსპორტირებას ქ. ბათუმის ნაგავსაყრელზე.

სპეციფიკური (ზეთი, საბურავი, ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, ბატარეა, აკუმულატორი, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები და სხვა) ნარჩენების გატანა - არ ხდება ორგანიზებული ჯგუფის ან კომპანიის მიერ. ასეთი სახის ნარჩენები სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად გროვდება და ხდება მათი ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე. ან ეს პროცესი ხორციელდება ინდივიდუალურად ამ კატეგორიის შეგროვებით დაინტერესებული პირების მიერ.

შპს „სანდასუფთავება“ პასუხისმგებელია ნარჩენების შეგროვების პროცესისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებებისა და დანადგარების როგორც შეძენაზე, ასევე, მათ მოვლა-შეკეთებაზე. აგრეთვე, ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის საჭირო თანამშრომლების აყვანაზე. შპს სანდასუფთავების სამსახურს აქვს თავისი საამქრო, მათ ბალანსზე აღრიცხული სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის მოვლა-შეკეთებისათვის.

ქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს შპს „სანდასუფთავება“. გარდა ამისა, ქალაქის დანაგვიანებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ოქმებს ადგენს ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

ქალაქ ბათუმში საცხოვრებელი სახლების ეზოების დაგვა-დასუფთავება თვეში 4-ჯერ ხდება.

2.3 ნარჩენების მოსაკრებელი და მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის დაფინანსება

2.3.1 მოსაკრებელი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (კერძოდ, საკრებულო, როგორც თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო) პასუხისმგებელია ადგილობრივი მოსაკრებლების (ტარიფების) შემოღებაზე, ამოღებასა და გაუქმებაზე. მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება იმ კანონების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებენ მოსაკრებლების სტრუქტურასა და ოდენობას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

საქართველოს კანონი „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ (1998) მიხედვით მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში. ხოლო მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა ერთ ოჯახში არ უნდა აღემატებოდეს ოთხს, მიუხედავად ოჯახის წევრების რაოდენობისა. აქედან გამომდინარე, მოსაკრებლის

ოდენობა ერთ ოჯახზე არ შეიძლება აღემატებოდეს 12 ლარს თვეში. ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში მერიის ტარიფი განსაზღვრულია ქალაქ ბათუმის საკრებულოს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 29 იანვრის №3 დადგენილებით.

აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია მოსაკრებლის ოდენობა და გადახდის პროცედურა:

1. მოსაკრებლის ოდენობა გაიანგარიშება მოსახლეობისათვის - სულადობის მიხედვით, ხოლო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისათვის - ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების გატანის ღირებულებისა და შესაბამისი ზომის ერთეულის კომბინაციით, კერძოდ:
 - ✓ ა) მოსახლეობისათვის - ერთ სულ მოსახლეზე - 1.30 ლარი თვეში (ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია 4 სულით („ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი);
 - ✓ ბ) მოსახლეობისათვის, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 ან 70 000-ზე დაბალია – 1 ლარი თვეში;
 - ✓ გ) იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის რაოდენობა თვეში გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$M = (N \times C \times K) / 12;$$

M - მოსაკრებლის რაოდენობა თვეში;

N - ნარჩენების დაგროვების ნორმატივი წელიწადში;

C - 1მ³ ნარჩენის გატანის ღირებულება, C =9 ლარი;

K - ზომის ერთეული (დაკავებული ფართი, მომხმარებელთა რაოდენობა, ადგილი, საწოლი, მოსწავლე).

2. იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა საქმიანობაც მოიცავს სხვადასხვა ფეროს, მოსაკრებლის გაანგარიშება მოხდება კომპლექსურად (ცალკეული საქმიანობის სფეროებიდან გამომდინარე გადასახდელ მოსაკრებელთა ჯამი) მოქმედი ფორმულის შესაბამისად
3. ორგანიზებული ბაზრობისათვის დასუფთავების მოსაკრებელი განისაზღვრება
4. კომპლექსურად (არსებული ცალკეული სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტებიდან გამომდინარე გადასახდელ მოსაკრებელთა ჯამი).
5. მოსაკრებლის გადახდისაგან განთავისუფლებულია ქ. ბათუმში არსებული მოხუცთა და ბავშვთა თავშესაფრები
6. მოსაკრებლის გადახდისაგან დროებით გათავისუფლებულია ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობა, რომელსაც არ მიეწოდება დასუფთავების სერვისი.
7. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ დაფუძნებული საჯარო და კერძო სამართლის სამეწარმეო

- (50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები სარგებლობენ მოსაკრებლის გადახდის 50%-ანი შეღავათით;
8. იმ იურიდიული პირებისათვის, რომელთა საქმიანობაც მოიცავს სხვადასხვა სფეროს, მოსაკრებლის გაანგარიშება მოხდება კომპლექსურად (ცალკეული საქმიანობის სფეროებიდან გამომდინარე გადასახდელ მოსაკრებელთა ჯამი) მოქმედი ფორმულის შესაბამისად;
 9. სამედიცინო, სამშენებლო და საწარმოო ნარჩენების გატანა დასაშვებია განხორციელდეს იურიდიული პირის მიერ შპს „სანდასუფთავებასთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. ბათუმის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებული ტარიფების მიხედვით;
 10. ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი გამოიწერება იმ უძრავი ქონების მესაკუთრეზე, რომლის საკუთრებაშიც წამოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ქ. ბათუმის მოსახლის მიერ მოსაკრებელი გადაიხდება მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
 11. ამხანაგობის შემთხვევაში, ამხანაგობის ყველა წევრთა თანხმობისას, მოსაკრებლის გადახდის ქვითარი გამოიწერება ამხანაგობის სახელზე. ამ შემთხვევაში ამხანაგობა წერილობით მიმართავს მოსაკრებლის გადახდევინებაზე პასუხისმგებელ სამსახურს და წარუდგენს ყველა მესაკუთრის თანხმობის დამადასტურებელ საბუთს;
 12. მოსაკრებელი შეიძლება გადახდილი იქნეს მოსაკრებლის გადამხდელის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ;

ქ.ბათუმში ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების მიწოდება ხდება მოსახლეობის 100% და საწარმოების 95%-ისათვის.

მუნიციპალიტეტის მხრიდან, სანდასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შპს „სანდასუფთავება“-ს შორის 2018 წლი 01 მაისს გაფორმებული N1 ხელშეკრულების შესაბამისად შედის შპს „სანდასუფთავების“ კომპეტენციაში, სადაც დასაქმებულია 14 ადამიანი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოსაკრებლის ამოსაღებად იურიდიულ პირებთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, მოსაკრებელი გადაიხდება ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №3 დადგენილების ინსტრუქციის დანართი 2- ის შესაბამისად.

მოსახლეობაზე დარიცხული დასუფთავების მოსაკრებლიდან ხერხდება 25-50%-ის ამოღება და საწარმოებზე, ორგანიზაციებსა და უწყებებზე დარიცხული მოსაკრებლის 50-70%-ის ამოღება. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება ფიზიკური პირებისათვის (გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა) – მომსახურების ერთი თვის განმავლობაში მიღების შემთხვევაში. ორგანიზაციების, დაწესებულებების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის – მომსახურების მიღებისთანავე.

მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლებულია ის მოსახლე,

რომელიც ცხოვრობს სასტუმროს ტიპის საცხოვრებელში, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი თვითონ სარგებლობს ოპერატორის მომსახურებით.

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი ბინის/სახლის მესაკუთრე, ასევე მოქმედი ინდივიდუალური მეწარმე, იურიდიული პირი, ორგანიზაცია და დაწესებულება ვალდებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურში ან ოპერატორთან დარეგისტრირდეს მოსაკრებლის გადამხდელად. წინამდებარე წესის ამოქმედების დღიდან აღნიშნული პირები ავტომატურად ითვლებიან მომსახურების მიმღებებად.

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი ბინის/სახლის მესაკუთრე (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა), ვალდებულია რეგისტრაცია გაუკეთოს მის საკუთრებაზე მცხოვრები პირების რაოდენობასა და რაოდენობის ცვლილებას. ასევე მესაკუთრე ფიზიკური პირი რომლის საკუთრებაშიც წარმოიქმნება ნარჩენი ვალდებულია წარმომქმნელთა რაოდენობის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ ან/და არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა აცნობოს სამსახურს ან ოპერატორს, რომელიც გავლენას მოახდენს გადასახდელი მოსაკრებლის გაანგარიშებაზე. აბონენტი ვალდებულია წარმოადგინოს ცვლილების დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტი. (ცნობა სასწავლებლიდან, გარდაცვალების, დაბადების ან ქორწინების მოწმობა, სულადობის ცვლილების შესახებ ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ გაცემული ცნობა, ან მინიმუმ სამი მეზობლის მიერ ხელწერით დადასტურებული განაცხადი და ა.შ).

დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებულნი არიან დადგენილი წესით რეგისტრაციიდან ან შექმნის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან (აგრეთვე რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, საქმიანობის პროფილის, მისამართის, ადგილმდებარეობის და ნებისმიერი სახის ცვლილების შემთხვევაში) არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, აღნიშნულის თაობაზე აცნობონ სამსახურს ან ოპერატორს.

დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად დარეგისტრირებისათვის დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ კონკრეტულ მისამართზე (ფართზე) მათი ფუნქციონირების დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტები. მიუხედავად შეტყობინების განხორციელების დღისა, დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებულნი არიან მოსაკრებელი გადაიხადონ მომსახურების მიღების მთელპერიოდზე.

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი ბინის/სახლის მესაკუთრე, ასევე მოქმედი ინდივიდუალური მეწარმე, იურიდიული პირი, ორგანიზაცია და დაწესებულება ვალდებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურში ან ოპერატორთან დარეგისტრირდეს მოსაკრებლის გადამხდელად. ნარჩენების წარმომქმნელი პირი ვალდებულია მოსაკრებელი გადაიხადოს დადგენილ ვადებში, მოსაკრებლის გადახდა წარმოებს შესაბამის ანგარიშზე ქვითრით ან ელექტრონული ანგარიშსწორების საშუალებით.

2.3.2 ბიუჯეტი და ხარჯები ⁴

ბათუმის იმ მოსახლეობისა და ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც რეგისტრირებული არიან მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურების მომხმარებლებად, უკანასკნელ წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ცხრილი 2-8. ბათუმის იმ მოსახლეობის და ორგანიზაციების რაოდენობა, რომელიც რეგისტრირებულია მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურების მომხმარებლად

რაოდენობა	2018	2019	2020	2021	2022
მოსახლეობა	85822	91347	92413	91630	94040
ორგანიზაციები	4815	5873	5940	6307	6419

მუნიციპალური ნარჩენების მართვის მოსაკრებლების ადმინისტრირებას შპს სანდასუფთავება უზრუნველყოფს. 2020 წელს სანდასუფთავებამ კომპანია ენერგო-პრო ჯორჯიასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ეს უკანასკნელი საკუთარ მომხმარებლებს, მათ შორის მოსახლეობასა და ორგანიზაციებს ნარჩენების მართვის მომსახურების გადასახადის ქვითრებს ან მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნის. მომხმარებლებს ნარჩენების მართვის მოსაკრებლის გადახდა ადგილობრივი ბანკების, ინტერნეტ ბანკინგის ან გადახდის აპარატების საშუალებით შეუძლიათ. მოსაკრებლები ქალაქის მთავრობის ბიუჯეტში ირიცხება. ნარჩენების მართვის მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სანდასუფთავებას და ენერგო-პრო ჯორჯიას არ აქვთ უფლება, მომხმარებელს შეუწყვიტონ ელექტროენერჯის ან სხვა კომუნალური მომსახურების (მაგ., წლის, ბუნებრივი გაზის) მიწოდება.

ქალაქ ბათუმში მოსახლეობისთვის დარიცხული ნარჩენების მოსაკრებლების გადახდის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია - 59%-მდე, ხოლო ორგანიზაციების შემთხვევაში -ბოლო 2 წელში მდგომარეობა არსებითად გაუმჯობესდა (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილები).

2020 წელს, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო მოსახლეობის მიერ მოსაკრებლის გადახდის მაჩვენებლები კიდევ უფრო შემცირდა. 2020 წლის 30 აპრილს, ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესებისთვის პანდემიის გამო ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვების ეკონომიკური და სოციალური ზეწოლის შემსუბუქების მიზნით, ბათუმის ადგილობრივმა მთავრობამ 2020 წლის 30 აპრილს მიიღო დადგენილება, რომელიც გარკვეული კატეგორიის ოჯახებსა და ორგანიზაციებს 2020 წლის მარტი-მაისის პერიოდში ნარჩენების მართვის მოსაკრებლების გადახდისგან ათავისუფლებდა.

⁴ პარაგრაფი მომზადებულია ბათუმის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის (პროექტის No. 82718), ასევე ადგილობრივი მთავრობებისა და შპს „სანდასუფთავების“ მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა 2023-2027 წწ.

ცხრილი 2-9. ოჯახებისთვის დარიცხული და მათ მიერ გადახდილი ნარჩენების მართვის მოსაკრებლების შედარება, ლარი

კატეგორია	2018		2019		2020		2021		2022	
	დარიცხული	გადახდილი	დარიცხული	გადახდილი	დარიცხული	გადახდილი	დარიცხული	გადახდილი	დარიცხული	გადახდილი
ნარჩენების მართვის მოსაკრებელი	1,276,074	704,617	1,325,604	745,324	1,338,673	552,625	1313421,20	587284,51	1113699,60	653247,40
გადახდის მაჩვენებელი	55%		56%		41%		44,71		58,65	

ცხრილი 2-10. ორგანიზაციებისთვის დარიცხული და მათ მიერ გადახდილი ნარჩენების მართვის მოსაკრებლების შედარება, ლარი

კატეგორია	2018		2019		2020		2021		2022	
	დარიცხული	გადახდილი	დარიცხული	გადახდილი	დარიცხული	გადახდილი	დარიცხული	გადახდილი	დარიცხული	გადახდილი
ნარჩენების მართვის მოსაკრებელი	1,739,374	1,111,984	2,580,454	1,997,794	2,791,113	1,694,721	2717854,90	2611861,5	2521773,30	2533361,1
გადახდის მაჩვენებელი	64%		77%		61%		96,10 %		100,46%	

ცხრილი 2-11. ბათუმში ოჯახებისა და ორგანიზაციების მიერ გადახდილი ნარჩენების მოსაკრებლები, ლარი

კატეგორია	2018	2019	2020	2021	2022
ოჯახები	704,617	745,324	552,625	587284,51	653247,40
ორგანიზაციები	1,111,984	1,997,794	1,694,721	2611861,5	2533361,1
სულ	1,816,601	2,743,118	2,247,346	3199146,02	3186608,52

ცხრილში მოცემულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ამ მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხების ჯამური ოდენობა.

ცხრილი 2-12. მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის გამოყოფილი თანხები, ლარი

წელი	2018	2019	2020	2021	2022
ჯამური თანხა	7,763,605	9,297,986	9,302,382	10,078,100	12,262,000

შპს “სანდასუფთავების” შემოსავალი შედგება ხელშეკრულების საფუძველზე მომხმარებლებისთვის, მათ შორის ბათუმის ბულვარისა და ბათუმში მდებარე სხვა ორგანიზაციებისათვის გაწეული მომსახურების საფასურისგან (მომსახურება მოიცავს მუნიციპალური მყარი ნარჩენების, მწვანე ნარჩენების, სამშენებლო და ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების, სამედიცინო და სახიფათო ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებასა და განთავსებას), ბათუმის მერიისა და აჭარის იმ სხვა მუნიციპალიტეტების მიერ გადახდილი მომსახურების საფასურისგან, რომლებსაც კომპანია ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებით უზრუნველყოფს (მაგ., შუახევი, ხულო, ხელვაჩაური).

ცხრილი 2-13. შპს სანდასუფთავების შემოსავალი, ლარი/წელი

შემოსავლის წყარო	2018	2019	2020	2021	2022, 10 თვე
ბათუმის ბულვარი	655 598	745,119	748,120	757,817	732,372
მომხმარებლების მიერ პირდაპირ გადახდილი მომსახურების საფასური	300,471	260,340	289,850	373,491	348,328
ბათუმის მერიის მიერ გადახდილი მომსახურების საფასური	7,948,363 ⁴⁶	8,953,327	9,354,567	9,849,734	8,958,174
შპს სანდასუფთავებისთვის სხვა მუნიციპალიტეტების მიერ გადახდილი მომსახურების საფასური	501,115	523,783	560,278	519,612	331,545
სულ	9,405,547	10,482,569	10,952,815	11,500,654	10,370,419

ცხრილი 2-14. ყველა სახის ნარჩენების შეგროვებასთან, ტრანსპორტირებასა და განთავსებასთან დაკავშირებული შპს სანდასუფთავების საოპერაციო ხარჯები კატეგორიების მიხედვით, ლარი/წ

საოპერაციო ხარჯების კატეგორიები	2018	2019	2020	2021	2022
პერსონალი (მძღოლები, მუშები, ტექნიკოსები, და სხვ.)	6,139,171	7,623,279	7,156,910	8,091,536	7,206,522
ტექნიკური მომსახურება	270,007	259,431	299,329	382,256	554,864
საწვავი	656,704	692,167	524,324	765,426	972,658
ცვეთა	903,202	951,500	925,839	865,425	995,800
სხვა	31,774	36,861	44,734	58,672	71,815
სულ	8,000,858	9,563,238	8,951,136	10,163,315	9,801,659

ცხრილი 2-15. ყველა სახის ნარჩენების შეგროვებასთან, ტრანსპორტირებასა და განთავსებასთან დაკავშირებული შპს „სანდასუფთავების“ კაპიტალური ხარჯები კატეგორიების მიხედვით, ლარი

კაპიტალური ხარჯების კატეგორიები	2018	2019	2020	2021	2022
აღჭურვილობა (მაგ., ნაგავმზიდები, ნარჩენების კონტეინერები, და სხვ.)	905,925	919,829	441,426	1,633,682	1,787,182
ინფრასტრუქტურა (მაგ., ნაგავმზიდების სამრეცხაო და სარემონტო ბოქსების მშენებლობა)	9,433	17,767	-	24,999	-
სულ	915,358	937,596	441,426	1,658,681	1,787,182

ცხრილი 2-11-დან ჩანს, რომ შპს სანდასუფთავების შემოსავლის მთავარ წყაროს ბათუმის მთავრობისგან მიღებული სახსრები წარმოადგენს, რომლებიც 2018 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში 7,948,363 ლარიდან 12,262,000 ლარამდე გაიზარდა. თუმცა, 2018-2020 წლებში აღნიშნული გადარიცხვების რაოდენობა ბევრად აღემატება ოჯახებისა და ორგანიზაციებისგან მიღებული შემოსავლების ოდენობას (ცხრილი 2-11). ოჯახებისა და ორგანიზაციების მიერ გადახდილი მოსაკრებლების ჯამური ოდენობა ბათუმის მთავრობის მიერ შპს „სანდასუფთავებისთვის“ გადარიცხული თანხების მხოლოდ 23-30%-ს შეადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ ქალაქში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯების ამოღების უზრუნველსაყოფად საჭიროა მოსაკრებლების განაკვეთის გადახედვა და გადახდის მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.


უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ურჩ გადახდელთა გამოვლენა. ვინაიდან არ არის განსაზღვრული საურავები, ან/და სხვა საჯარიმო სანქციები, ურჩ გადახდელებს დავალიანების არსებობის თაობაზე ეგზავნებათ წერილობითი შეტყობინება. ერთ თვეში განმეორებით ეგზავნებათ წერილი გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში დოკუმენტაცია გადაეცემა იურიდიულ განყოფილებას. ამის შემდეგ იურიდიული სამსახური მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.4 ნარჩენების განთავსების ობიექტები

2.4.1 არსებული ნაგავსაყრელი

ქალაქ ბათუმში შეგროვებული ნარჩენების განთავსება ხდება ქ. ბათუმში არსებულ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელ პოლიგონზე, რომელსაც ოპერირებას კომპანია „სევერი“ უწევს. ნაგავსაყრელის შესასვლელთან ფუნქციონირებს შპს „სანდასუფთავების“ სადისპეჩერო სამსახური, სადაც დამონტაჟებულია ავტომანქანების ასაწონი სასწორი და ხდება ნაგავსაყრელზე შეტანილი ნარჩენების აწონვა.

რუკა 2-2. არსებული ნაგავსაყრელი



ნაგავსაყრელის ტერიტორია მოიცავს 22 ჰა ფართობს, რომელიც განთავსებულია მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე, უშუალოდ მდინარის წყალდაცვით ზოლში. ნაგავსაყრელი ვერ აკმაყოფილებს გარემოსდაცვით სტანდარტებს, რის გამოც აქტიურად ბინძურდება მიწისქვეშა და ზედაპირული წყლები. ნაგავსაყრელის ტერიტორია არ არის შეღობილი, შესაბამისად გარეშე პირები დაუბრკოლებლად შედნ ნაგავსაყრელზე, აგროვებენ ჯართს და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს. ასევე ნაგავსაყრელზე დაუბრკოლებლად შედის ადგილობრივი მოსახლეობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც იკვებება ნაგავსაყრელ პოლიგონზე შეტანილი ნარჩენებით.

ილუსტრაცია 2-1. ნაგავსაყრელზე არსებული მდგომარეობა



ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე არის ადგილები, სადაც მეორადი საბურავებია განთავსებული და ეს საბურავები პერიოდულად ღია წესით იწვება. ნარჩენების მართვის

კოდექსის შესაბამისად (მუხლი 35, პუნქტი 2), აღნიშნული ქმედება კანონდარღვევაა და 1500 ლარიან ფულად ჯარიმას ითვალისწინებს.

ილუსტრაცია 2-2. საბურავებით დაბინძურებული ტერიტორია



ბათუმის ნაგავსაყრელი გარემოს დაბინძურების ერთერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს, რომელიც წლებია ნეგატიურ გავლენას ახდენს გარემოს კომპონენტებზე.

2.4.2 ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელი

უნდა აღინიშნოს, რომ უახლოეს პერიოდში ფუნქციონირებას დაიწყებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცეცხლაურის მიმდებარედ არსებული სანიტარული ნაგავსაყრელი, რომელიც მოემსახურება მთლიან რეგიონს (ასევე შესაძლებელია ნაგავსაყრელზე განთავსდეს გურიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე შეგროვებული ნარჩენები). ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და აღჭურვილია ყველა აუცილებელი ტექნოლოგიით, რათა ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო იყოს.

სანიტარული ნაგავსაყრელის ფართობი თავისი სანიტარული და ბუფერული ზონით 176.6 ჰა-ს შეადგენს, რომლიდანაც 15.7 არის ნაგავსაყრელის ძირითადი ნაწილი, 11.6 ჰა. ბუფერული ზონა, ხოლო დანარჩენი ფართობი სანიტარული ზონა.

თავდაპირველი პროექტის მიხედვით, პოლიგონის საექსპლუატაციო პერიოდი 35 წელს შეადგენდა და წლის განმავლობაში მიიღებდა 75 000 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს. ნაგავსაყრელის ექსპლუატაციაში მიღებამდე წარმადობა გაიზარდა 120 000 ტონამდე, ხოლო საპროექტო გათვლები გაკეთდება 150 000 ტონაზე. ასევე დაგეგმილი ნარჩენების განთავსების ფართობის 11,4 ჰა-იდან 4 ჰექტარ (40 000 მ²) ფართობზე მოეწყო ნარჩენების განთავსების 4 უჯრედი, ხოლო ნაგავსაყრელი პოლიგონის სიმაღლე დარჩა 15 მეტრი. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ნაგავსაყრელი პოლიგონის საექსპლუატაციო ვადა 35 წლიანი პერიოდი შემცირდა 20-22 წლამდე.


წყარო: ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში მოწყობილ აჭარის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის (ნარჩენების განთავსება, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა) წარმადობის გაზრდის პროექტის სკრინინგის ანგარიში. შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“.

სქემა 2-1. ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის გეგმა



ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის ოპერირებაში მიღების შემდეგ, ქალაქ ბათუმში მოეწყობა ნარჩენების გადამტვირთავი სადგური, სადაც დროებით განთავსდება ბათუმის ტერიტორიაზე და აჭარის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებში შეგროვებული ნარჩენები. გადამტვირთ სადგურზე შეგროვებული ნარჩენები პერიოდულად გადაიზიდება ახალ რეგიონულ ნაგავსაყრელზე.

რუკა 2-3. რეგიონული ნაგავსაყრელის და საპროექტო გადამტვირთი სადგურის რუკა



2.4.3 არაკანონიერი ნაგავსაყრელები

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ ბათუმის მთლიან ნაწილს მიეწოდება ნარჩენების შეგროვების სერვისი, მოსახლეობის და კერძო სექტორის ნაწილი მაინც აბინძურებს გარემოს. არაკანონიერ ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენები შეიცავს სხვადასხვა სახის ნარჩენებს, ესენი შეიძლება იყოს: პლასტიკის, ქალაქის და მუყაოს, სამშენებლო და ნგრევის, ინერტული, ტექსტილის, მეტალის, მინის და სახიფათო ნარჩენებიც კი.

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე საყურადღებოა მდინარე ჭოროხის მიმდებარე არსებული დაბინძურებული ადგილები, სადაც დიდი რაოდენობით სამშენებლო და ნგრევის ნარჩენებია განთავსებული (იხილეთ ილუსტრაცია 2-3).

ილუსტრაცია 2-3. ილუსტრაცია ნარჩენებით დაბინძურებული მდინარე ჭოროხის მიმდებარე ტერიტორია







მუნიციპალიტეტების მერიის ძალისხმევით და სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში არაკანონიერი ნაგავსაყრელები პერიოდულად სუფთავდება, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა და კომპანიების ნაწილი მაინც აბინძურებს დასუფთავებულ ადგილებს.

წყარო: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტაცია, ნაწილი 3 - გარემოს დაცვა.

2.1 ნარჩენების ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა

2.1.1 ნარჩენების სეპარირებული შეგროვება


ქალაქ ბათუმში ნარჩენების რეციკლირება/აღდგენის პრაქტიკა ნაკლებად არის განვითარებული და მცირე მასშტაბებს მოიცავს.

2021 წელს გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით ბათუმსა და თბილისში განხორციელდა საპილოტე პროექტი, რომლის ფარგლებში ორივე ქალაქში განთავსდა 40 კონტეინერი პლასტმასის ბოთლების შეგროვებისთვის. ურნები უბნებში განლაგდა იმგვარად, რომ მოსახლეობისთვის მათი გამოყენება მოსახერხებელი ყოფილიყო. საწყის ეტაპზე ბათუმში განთავსდა 15 კონტეინერი, რომელიც შემდეგ 45 ერთეულამდე გაიზარდა. ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული კონტეინერები წარმოდგენილია რუკაზე 2 -2 (კონტეინერების ადგილმდებარეობები ასევე შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე: [მთავარი \(plastmasa.ge\)](http://plastmasa.ge)).

პლასტიკის ბოთლების სეპარირებისთვის განკუთვნილ კონტეინერებს ბათუმის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური – შპს „სანდასუფთავება“ ემსახურება. კომპანია კონტეინერებიდან პლასტიკის ბოთლებს თავად აგროვებს, მეორადად ახარისხებს და პრესავს (კომპანიას გააჩნია 2 საპრესი დანადგარი, რომელთაგანაც ერთერთი გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში გადაეცა). გადასამუშავებლად გამზადებული პლასტიკის ბოთლები აუქციონის წესით იყიდება.

2022 წლის განმავლობაში, სეპარირებული შეგროვების გზით მიღებულ იქნა 6 ტონამდე სარეალიზაციოდ გამზადებული დაპრესილი პლასტმასი. ასევე ქალაქში 2022 წლის განმავლობაში შეგროვებულ იქნა 100 ტონამდე მუყაოს ნარჩენები, საიდანაც უკვე რეალიზებულია 40 ტონა. მუყაოს შეგროვებას შპს „სანდასუფთავება“ ძირითადად კომერციული ობიექტებიდან ახორციელებს.

რუკა 2-4. ქალაქ ბათუმში განლაგებული კონტეინერები პლასტიკის ბოთლებისთვის



ილუსტრაცია 2-4. პროექტის ფარგლებში, ქალაქ ბათუმში განთავსებული კონტეინერები



საპილოტე პროექტი ასევე მოიცავდა ინტეგრირებული საკომუნიკაციო კამპანიის წარმართვას, რაც მიზნად ისახავდა ადგილობრივ მოსახლეობაში იმ ქცევითი სტიმულების გაჩენასა და დაკვირვებას, რომელიც დახარისხებული პლასტმასის რაოდენობის ზრდას წახალისებს.

გაეროს სწრაფი განვითარების ლაბორატორიის მოწვევით, BISC Partners-მა მონაწილეობა მიიღო ქცევითი ექსპერიმენტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და პროექტში მონაწილე ორგანიზაციებს: „პარკი არ მინდა“, „ჭაობი“ და „სპექტრი“ კონსულტაცია გაუწია ქცევის მეცნიერებაზე დაყრდნობით განხორციელებინათ ფიზიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა, საკომუნიკაციო კამპანია და სხვა შესაბამისი აქტივობები.

პროექტის მიზანი იყო ქვევის ცვლილებაზე (ამ შემთხვევაში ახალი ქვევის ჩამოყალიბება) ინტერვენციების ტესტირება რეპლიკაციისთვის. ამასთან, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მათი მასშტაბზე მდგრადობის და ხარჯთეფექტურობის კრიტერიუმები.

ექსპერიმენტით უნდა გაზომილიყო:

- რამდენად მოქმედებს ფიზიკური ინფრასტრუქტურა თავად საყოფაცხოვრებო ნარჩენის გადახარისხების მოტივაციაზე (შეგროვებული ნარჩენების მოცულობა - კვ.)
- რამდენად აღიქვამს მოსახლეობა, თუ რისთვისაა განკუთვნილი ურნები (შეგროვებული ნარჩენების ხარისხი)
- რა გავლენა აქვს საკომუნიკაციო სტრატეგიას ქვევაზე

ცვლილების თეორია მოიცავდა შემდეგ მიდგომას - თუკი მოსახლეობას ექნება ხელმისაწვდომობა დახარისხებული ნაგვისთვის განკუთვნილი მოწესრიგებული ურნების სახით, ეს მისცემს მათ მოტივაციას, დაიწყონ საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება, ხოლო მოტივაციის ზრდას ხელი უნდა შეუწყოს ინტეგრირებულმა საკომუნიკაციო კამპანიამ, რომელიც შეიცავს ქვევითი მეცნიერების მიგნებების საფუძველზე შემუშავებულ გზავნილებს.

საყოფაცხოვრებო ე.წ. PET პლასტმასას გადახარისხება საერთაშორისო გამოცდილებით და კვლევით, მიჩნეულია, რომ ყველაზე მარტივი ახალი ქვევაა განსახორციელებლად და ამით დაწყება მიჩნეულ იქნა, როგორც ყველაზე რეალისტური და შედეგის მომტანი. შესაბამისად, დაიგეგმა PET პლასტმასას ბოთლების ჩასაყრელი ურნების განთავსება საპილოტე უბნებზე.

ქვევის ცვლილებისთვის ფიზიკური ინფრასტრუქტურას დიდი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ: რა სიგნალს იღებს ადრესატი გარემოდან და რისკენ უბიძგებს კონტექსტი ამის გათვალისწინებით, გადაწყდა დამზადებულიყო გამჭვირვალე ურნები, რომელთა დიზაინი განსხვავდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ადრე განთავსებული ურნებისაგან. გამჭვირვალე ურნა იძლევა საშუალებას, მომხმარებელმა კარგად გაარჩიოს თუ რა ტიპის ნარჩენისთვისაა განკუთვნილი ის და ცალსახა სიგნალს იძლევა, რომ მხოლოდ მშრალი ნარჩენი უნდა მოთავსდეს მასში.




ურნების განთავსება გადაწყდა მოსახლეობისთვის ჩვეულ ნარჩენების ურნების გვერდზე და არა - ცალკე, როგორც ეს სხვა ორგანიზაციების მიერ იყო ადრე განთავსებული. არსებული ჩვევის გამოყენება და მასზე ახალი ქვევის „დაშენება“ ყველაზე ძლიერი პრედიქტორია ქვევის ცვლილების და სწორედ ამ ფაქტორის გამოყენებით შეირჩა ადგილმდებარეობები. ახალ, განსახვავებულ ლოკაციაზე პლასტმასის ნარჩენების გადაყრა დამატებით ძალისხმევას მოითხოვს ადამიანისგან და შესაბამისად, ამცირებს ახალი ქვევის შანსს. მუნიციპალურ ურნებთან ერთად, სახლთან ახლოს, ახალი ურნების განთავსება არის გარანტია, რომ არსებითად არ იცვლება რუტინა და რომ ახალი ქვევის განხორციელება ადვილია.

თავდაპირველად, პროექტის ფარგლებში მონაწილე ორგანიზაციებს განსაზღვრული ჰქონდათ კლასიკური ტიპის საკომუნიკაციო კამპანია, კერძოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობები, ღონისძიებები უბნებში და ა.შ. რეკომენდაციის საფუძველზე, შეძლებისდაგვარად შეიცვალა საკომუნიკაციო სტრატეგიის მიდგომა და კამპანია ქცევითი ინტერვენციების რანდომიზირებული კვლევის გზით წავიდა.

არსებულ პრაქტიკაზე, კვლევაზე დაყრდნობით და შესაბამისი ქცევის ცვლილების პრინციპების (Behavior Change Principles) გამოყენებით, შემუშავებული იქნა ორი ტიპის სატესტო გზავნილი, რომელიც ეტაპობრივად ჩაეშვა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით.

მსგავსი მიდგომა ექსპერიმენტისადმი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გავვეგო, რა შინაარსის მესიჯი მუშაობს ან არ მუშაობს და რომელი ტიპის ქცევის მასტიმულირებელ გზავნილს ექნებოდა კორელაცია მოტივაციასთან და ქცევასთან.

ქცევის მეცნიერებაზე დაფუძნებული მესიჯები სატესტო ჯგუფებში



კვლევა რვა კვირის განმავლობაში (2 ფაზა) ხორციელდებოდა შერჩეულ უბნებში, სადაც განთავსდა პლასტმასის ურნები სეპარირებული შეგროვებისთვის. მიმდინარეობდა ურნების მონიტორინგი, რომელიც შევსებისთანავე იცლებოდა შპს „სანდასუფთავების“ მიერ. ხოლო შეგროვებული პლასტმასის რაოდენობა აღირიცხებოდა.

კვლევის შედეგების ანალიზმა დაადასტურა თავდაპირველი ვარაუდი, რომ ქცევაზე გათვლილი მესიჯს აქვს მეტი გავლენა, ვიდრე მხოლოდ ფუნქციონალურ მესიჯს (ინსტრუქცია).

მესიჯის პერფორმანსის, დინამიკის და ხარისხის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ექსპერიმენტი მიწვდა იმ ადამიანებს, რომლებსაც უკვე აქვთ ჩამოყალიბებული ცნობიერება საყოფაცხოვრებო ნარჩენის დახარისხებასთან დაკავშირებით და აქვთ მაღალი მოტივაცია განახორციელონ ეს ქცევა, თუკი

ინფრასტრუქტურა იარსებებს. სამომავლოდ, ეს ტენდენცია გამოყენებულ უნდა იქნას სოციალური ნორმის დემონსტრირებისთვის, რაც დადებითად იმოქმედებს როგორც ცნობიერების ზრდაზე, ისე ქცევის ცვლილებაზე სხვა სეგმენტშიც.

2.1.2 ნარჩენების დამუშავების ობიექტები

საქართველოს რეგიონების უმეტესობაში სუსტად არის განვითარებული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქვეყანაში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პროცესების საწყის ეტაპზე და რეციკლირებადი მასალების საერთო რაოდენობა არაა საკმარისი მცირე თუ დიდი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ოპერირებისთვის.

ნარჩენების გადამამუშავებელი ობიექტების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია ქალაქ თბილისში ან მის სიახლოვეს. ქალაქ ბათუმში ამჟამად რამდენიმე კომპანიაზე გაცემული შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ესენია:

- შპს „ზუგო“;
- შპს „RONI“;
- შპს „როიალ პლასტიკი“;
- შპს „გიო-10“;
- შპს „ბათუმის მილი“

შპს „ზუგო“ - 2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ზუგოს“ ნარჩენების აღდგენაზე (პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავება; ქ. ბათუმი, მეჯინისწყლის დასახლება) გაიცა №54 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №000168 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

შპს „ზუგოს“ მიერ 2015 წელს წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით, პირველადი წარმოების შედეგად მიღებული პირველადი პოლიეთილენის პარკების სისქე განსაზღვრული იყო 0.8 მიკრონიდან 5 მიკრონამდე. ტექნოლოგიური ხაზის საპროექტო წარმადობა შეადგენდა 3000 კგ დღე-ღამეში. ასევე, გათვალისწინებული იყო ნარჩენების გადამამუშავების შედეგად წარმოებული მეორადი პოლიეთილენის პარკები 1.5 მიკრონიდან 8 მიკრონამდე სისქით. ტექნოლოგიური ხაზის საპროექტო წარმადობა შეადგენდა 2400 კგ დღე-ღამეში.

ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის გათვალისწინებით, კომპანიამ შეწყვიტა 15 მიკრონზე ნაკლები სისქის პარკების წარმოება და გადაწყვიტა მხოლოდ 15 მიკრონზე მეტი სისქის მქონე პარკების წარმოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ზუგოს“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნა „ქ. ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების“ სკრინინგის განცხადება, რაზედაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების მიხედვით (ბრძანება-№ 2-234, 13/03/2019 წ) გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება, და შპს „ზუგოს“ ქ. ბათუმში მეჯინისწყლის დასახლებაში პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

შპს „RONI“ - კომპანიის ქალაქის გადამამუშავებელი საწარმო 2012 წლიდან ფუნქციონირებს ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქ. N211-ში, საწარმო განთავსებულია 451 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.31.05.123). კომპანია აწარმოებს ჰიგიენურ ქალაქს. საწარმო წლის განმავლობაში გადაამუშავებს 83.2 ტ. მაკულატურას, რომლისგანაც მიიღება 75,4 ტ. პროდუქცია.

2019 წლის 14 მარტს შპს „RONI“-მ საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგინა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული დოკუმენტაცია - ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი, რასთან დაკავშირებითაც, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაიცა ქ. ბათუმში, შპს „RONI“-ს ქალაქის ნარჩენების აღდგენაზე (ქალაქის გადამამუშავებაზე) მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ 2019 წლის 12 აგვისტოს №2 გადაწყვეტილება (ბრძანების ნომერი: N2-817, 23.08.2019).

2022 წლის 8 აგვისტოს, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ N 247/ს ბრძანების შესაბამისად, ქ. ბათუმში შპს „RONI“-ს ქალაქის გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

შპს „როიალ პლასტიკ“ - კომპანიის საწარმო მდებარეობს ქ. ბათუმში ოპიზრების ქუჩა N32-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7592 მ² ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.32.23.010).

საწარმოს საქმიანობა გათვლილია მეორადი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენების ნარჩენების (კოდებით 07 02 13; 15 01 02) გადამამუშავებაზე (აღდგენის კოდი R3), რომელიც ძირითადად შემოტანილი იქნება საქართველოში არსებული სხვადასხვა წარმოებებიდან. საწარმოს საპროექტო წარმადობა შეადგენს 1800 ტონა გრანულის წარმოებას წელიწადში.

2022 წლის 31 იანვარს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების (N 2-59) მიხედვით, ქ. ბათუმში, შპს „როიალ პლასტიკის“ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე გაიცა შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.


შპს „გიო-10“ - კომპანიის საწარმო ფუნქციონირებს 2012 წლის აპრილიდან, საწარმოში ხდება პლასტმასის საკანალიზაციო და წყლის მილების წარმოება. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში მუშავდება წელიწადში 330 ტ პოლიეთილენის პარკების და 135 ტ მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების ნარჩენები, რის შედეგადაც მიიღება 280 ტ/წელ წყლის და 117,6 ტ/წელ საკანალიზაციო მილები. საწარმოო პროცესი ხორციელდება პოლიმერული ნარჩენების ბაზაზე (კოდებით: 07 02 13; 12 01 05; 15 01 02; 16 01 19; 17 02 03; 19 12 04; 20 01 39), რომლის შემოტანა ხორციელდება ადგილობრივი საწარმოებიდან, ასევე სხვა ქვეყნებიდან.

2021 წლის 7 ივლისის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების (N 2-1034) მიხედვით, ქ. ბათუმში, შპს „გიო-10“-ის პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის მილების დამამზადებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციაზე გაიცა შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

შპს „ბათუმის მილი“ – კომპანიის საწარმომ გაიარა გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკრინინგის პროცედურები და მისი გადაწყვეტილების საფუძველზე ის დაექვემდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (ბრძანება 234/ს, 04/08/2022). სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადდა და გარემოს ეროვნულ სააგენტოს განსახილველად წარედგინა პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკოპინგის ანგარიში. 2022 წლის 27 სექტემბერს, გარემოს ეროვნულ სააგენტომ დაიწყო პროექტის საქმის წარმოება და 2022 წლის 1 ნოემბერს გასცა სკოპინგის დასკვნა (სკოპინგის დასკვნა N 63). ამჟამად შპს „ბათუმის მილი“-ს მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მზადდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, კომპანიის საწარმოში ამ ეტაპზე ხორციელდება პირველადი გრანულებიდან პოლიეთილენის წყლის მილების დამზადება. გარდა აღნიშნულისა, კომპანია ასევე გეგმავს ნარჩენების აღდგენის ხაზის დამატებას და გრანულების წარმოების მიზნით, წელიწადში 240 ტონა პოლიეთილენის ნარჩენის (კოდები: 07 02 13 - პლასტმასის ნარჩენი; 15 01 02 - პლასტმასის შესაფუთი მასალა) გადამუშავებას.

რუკა 2-5. წარჩენების გადამამუშავებელი კომპანიების განლაგება



3 დაგეგმვის ნაწილი

3.1 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმის ანალიზი

ცხრილი 3-1. ბათუმის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ანალიზის ცხრილი

ამოცანები	განსახორციელებელი ღონისძიებები	ვადა	სტატუსი
<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება, ანგარიშგება და მონაცემთა ბაზა) ჩამოყალიბება 2018 წლისათვის. 	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების აღრიცხვაზე და შესაბამისი ბაზის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა მერიაში; 	<ul style="list-style-type: none"> 2018 წლის 31 დეკემბერი 	x
	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალური ნარჩენების შემგროვებელი კომპანიის კონტრაქტში ყოველ ერთეულ შემთხვევაში გატანილი ნარჩენების აღრიცხვისა და მერიაში ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირისათვის ამ მონაცემების ყოველთვიურად მიწოდების ვალდებულების უზრუნველყოფა; 	<ul style="list-style-type: none"> 2018 წლის 31 დეკემბერი 	x
	<ul style="list-style-type: none"> კომპანიები, რომლებიც ახდენენ სახიფათო, მათ შორის სამედიცინო, ცხოველურ, სპეციფიკურ, თხევად, ბიოდეგრადირებად და ინერტული ნარჩენების შეგროვებას და ტრანსპორტირებას, უზრუნველყოს მერიაში ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირისათვის ამ მონაცემების ყოველთვიურად მიწოდება; 	<ul style="list-style-type: none"> 2018 წლის 31 დეკემბერი 	x
	<ul style="list-style-type: none"> მონაცემთა ელექტრონული ბაზის შემუშავება ქ. ბათუმის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ. 	<ul style="list-style-type: none"> 2018 წლის 31 დეკემბერი 	x

<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი მომსახურების მიწოდება მოსახლეობისათვის, კომერციულ ობიექტების და წარმოება დაწესებულებისათვის მუნიციპალიტეტი ს მთელ ტერიტორიაზე. 	<ul style="list-style-type: none"> • ქ. ბათუმის მოსახლეობის დარჩენილი 5%-ისათვის სრულყოფილი მომსახურების მიწოდება (სპეცტექნიკის ჩართვა ამ პროცესში, ან მიმდებარე ტერიტორიის ნარჩენების შეგროვების დამატებითი კონტეინერებით მომარაგება) 	<ul style="list-style-type: none"> • 2018 წლის 31 დეკემბერი 	<ul style="list-style-type: none"> • განხორციელებულია ნარჩენების შეგროვების სერვისის მიწოდება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. მუნიციპალიტეტი ფლობს სხვადასხვა ზომისა და სახეობის ტექნიკურ აღჭურვილობას და საჭიროებისამებრ ახორციელებს ავტოპარკის შევსება/განახლებას. • ქალაქ ბათუმის მოსახლეობის მხოლოდ 1% სარგებლობს ზარის სიტემით, ხოლო დანარჩენი- კონტეინერული სიტემით.
	<ul style="list-style-type: none"> • სპეციფიკური ნარჩენების (მაგ: ბატარეები, აკუმულატორები, ელექტრომოწყობილობა, საბურავები და სხვ.) შეგროვების პუნქტების გახსნა; 	<ul style="list-style-type: none"> • 2021 წელი (ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევის კუთხით) 	<ul style="list-style-type: none"> • ამჟამინდელი მდგომარეობით სპეციფიკური ნარჩენების (მაგ: ბატარეები, აკუმულატორები, ელექტრომოწყობილობა, საბურავები და სხვ.) შეგროვების პუნქტები ქალაქის ტერიტორიაზე არაა მოწყობილი. 2020 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო შემდეგი დადგენილებები: <ul style="list-style-type: none"> ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №324, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;

			<ul style="list-style-type: none"> ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №326, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“; ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №327, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“; ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №325, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ • აღნიშნული დადგენილებების შესაბამისად სახიფათო ნარჩენების ნაწილი მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ქვეშ არის მოქცეული, შესაბამისად მუნიციპალიტეტს შეუძლია აღნიშნული საკითხი სახიფათო ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვისთვის გამოიყენოს.
--	--	--	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურებაში გამოყენებული ტექნიკის სტანდარტიზაციის პოლიტიკის შემუშავება ცენტრალურ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით. 	<ul style="list-style-type: none"> 2021 წელი (ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევის კუთხით) 	X
<ul style="list-style-type: none"> სახიფათო ნარჩენების მართვის ღონისძიებაში მონაწილეობა 	<ul style="list-style-type: none"> იმ კომპანიებს, რომლებიც სახიფათო ნარჩენის შეგროვებასა და ტრანსპორტირებას ახდენენ, ვალდებულებად განესაზღვროთ ნარჩენების აღრიცხვისა და მერიაში ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირისათვის ამ მონაცემების ყოველთვიურად მიწოდების აუცილებლობა; 	<ul style="list-style-type: none"> 2018 წლის 31 დეკემბერი 	X
	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ მონაცემთა ელექტრონული ბაზის შემუშავება სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით. 	<ul style="list-style-type: none"> 2021 წელი (ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევის კუთხით) 	X
	<ul style="list-style-type: none"> სახიფათო ნარჩენების დამგროვებელი საწარმო- დაწესებულებების იდენტიფიკაცია, აღრიცხვა და ნარჩენების დაგროვების მაჩვენებლების დადგენა 	<ul style="list-style-type: none"> 2022 წელი (სახიფათო ნარჩენების მართვის დოკუმენტის შემუშავების კუთხით) 	<ul style="list-style-type: none"> ბაზის სრულყოფისათვის მიმდინარეობს დამგროვებელი საწარმო-დაწესებულებების იდენტიფიკაცია, აღრიცხვა და ნარჩენების დაგროვების მაჩვენებლების დადგენა.

<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2020 წლისთვის 	<ul style="list-style-type: none"> არსებული ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების ზუსტი აღრიცხვა; 	<ul style="list-style-type: none"> 2018 წელი 	<ul style="list-style-type: none"> უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სამუშაოები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არაკანონიერი ნაგავსაყრელების აღრიცხვისა და უკვე გამოვლენილი ნაგავსაყრელების დახურვის მიზნით. მიუხედავად დასუფთავების ღონისძიებების გატარებისა, მოსახლეობის და კომპანიების ნაწილის მიერ კვლავ ხდება დასუფთავებული ადგილების ხელმეორედ დაბინძურება ან/და ახალი დაბინძურების კერების წარმოქმნა.
	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების დახურვისა და რემედიაციის კონკრეტული გეგმის შემუშავება დროში გაწერილი; 	<ul style="list-style-type: none"> 2020 წელი 	x
	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების დახურვისა და რემედიაციის კონკრეტული გეგმის განხორციელება და მონიტორინგი; 	<ul style="list-style-type: none"> 2020 წელი 	x
	<ul style="list-style-type: none"> არალეგალურ ნარჩენების განთავსების ადგილებზე ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერების და მომსახურეობის სისტემის გაუმჯობესება; 	<ul style="list-style-type: none"> 2020 წელი 	<ul style="list-style-type: none"> არაკანონიერი ნაგავსაყრელების წარმოშობის ძირითადი წყაროს წარმოადგენს სამშენებლო ნარჩენები, შესაბამისად ასეთ ადგილებში კონტეინერების განთავსება არ ხდება, თუმცა თუ ტერიტორიაზე განთავსებულია

			საყოფაცხოვრებო ნარჩენები, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ანალიზის შემდგომ მიიღება გადაწყვეტილება კონტეინერების განთავსების თაობაზე.
	<ul style="list-style-type: none"> საზოგადოების ცნობიერება (შეხვედრების, ტრენინგების, დასუფთავების აქციების, ტელევიზიისა და მასმედიის საშუალებებით) ნარჩენების არალეგალურად დასაწყობებასთან დაკავშირებით უარყოფითი მხარეების შესახებ 	<ul style="list-style-type: none"> 2020 წელი 	v
<ul style="list-style-type: none"> ქაღალდის/კარდონის, მინის, მეტალისა და პლასტიკის ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2019 წლიდან; 	<ul style="list-style-type: none"> იმ კომპანიებთან დაკავშირება და თანამშრომლობის აწყობა, რომლებიც ნარჩენების შეგროვებას და/ან გადამუშავებას ახდენენ ქვეყნის მასშტაბით; 	<ul style="list-style-type: none"> 2020 წელი 	v
	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების შეგროვების სველი – მშრალი სისტემის დანერგვა, ორი ტიპის კონტეინერის დადგმა ნარჩენების შეგროვების ადგილებზე (აქედან ერთ ურნაში მოხდება გადამუშავებადი მასალების (მაგ. პლასტიკი, ქაღალდი, ა.შ.) შეგროვება; 	<ul style="list-style-type: none"> 2020 წელი 	<ul style="list-style-type: none"> არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-თან აქტიური თანამშრომლობის შედეგად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდა სეპარირების 10 სტენდი, სადაც შესაძლებელია მინის, პლასტიკის, ქაღალდის და მეტალის ქილების სეპარირებული შეგროვება. 2021 წელს დაიწყო ნარჩენების დახარისხების საპილოტე პროგრამის განხორციელება. ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით
	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების შეგროვების პუნქტების გახსნა; 	<ul style="list-style-type: none"> 2020 წელი 	
	<ul style="list-style-type: none"> ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პროცესის წახალისება და მონიტორინგი; 	<ul style="list-style-type: none"> 2020 წელი 	

			<p>პლასტიკის ბოთლების შეგროვებისთვის განთავსდა 15 კონტეინერი, რომელსაც შემდგომში დაემატა 30 ერთეული.</p> <ul style="list-style-type: none"> გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით ბათუმის მერიას ასევე გადაეცა 12 000 ევროს ღირებულების სეპარირებული ნარჩენების საპრესი დანადგარი;
<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 	<ul style="list-style-type: none"> სწორი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება, ხარჯებისა და ტარიფის სწორი კალკულაცია; ნარჩენების მომსახურებისათვის საჭირო ხარჯების ანალიზის გაკეთება; მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება. ტელევიზიის და მედია-საშუალებებით გაშუქება, ნარჩენების მომსახურების გადახდის ვადებისა და გადახდის შესრულების თაობაზე. 	<ul style="list-style-type: none"> 2020 წელი 	<ul style="list-style-type: none"> მიმდინარეობს მუშაობა სისტემის სრულყოფისათვის. 2018-2021 წლის პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: <ul style="list-style-type: none"> ✓ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2016 წელს მიიღო დადგენილება N3 „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.“ და 2018 წელს დადგენილება N49 „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე, ინდივიდუალურ მეწარმეებზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის თარიღის
<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმო დაწესებულებების და კომერციული ობიექტებიდან ნარჩენების მომსახურების ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის; 	<ul style="list-style-type: none"> სწორი სატარიფო პოლიტიკის შემუშავება, ხარჯებისა და ტარიფის სწორი კალკულაცია; 	<ul style="list-style-type: none"> 2020 წელი 	
	<ul style="list-style-type: none"> საწარმო-დაწესებულებებიდან და კომერციული ობიექტებიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის ადმინისტრირების საჭირო ზომების უზრუნველყოფა. 	<ul style="list-style-type: none"> 2020 წელი 	

			<p>განსაზღვრის შესახებ“;</p> <p>✓ დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების მიზნით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის, პირადი განაცხადებისა და ელ. მრიცხველის ცვლილებების შესახებ სს „ენერგო-პრო ჯორჯიასგან“ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უწყვეტ რეჟიმში ხდება მონაცემთა ბაზების ფორმირება და ახალი აბონენტების რეგისტრაცია. აღსანიშნავია, რომ შპს „სანდასუფთავებასა“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს შორის გაფორმდა 2019 წლის 24 დეკემბრის №სშ/20-005 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად სს „ენერგი-პრო ჯორჯია“ ახორციელებს სრულ საბილინგო მომსახურებას;</p> <p>• მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობის მიზნით, აქტიურად მიმდინარეობს მრავალბინიანი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან შეხვედრები, მოსაკრებლის აბონენტად რეგისტრაციისა და არსებული დარიცხვა-დავალიანების გადახდის აუცილებლობასთან</p>
--	--	--	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

			<p>დაკავშირებით;</p> <ul style="list-style-type: none"> • რაც შეეხება ძველ დაგროვილ დავალიანებებს მათი ამოღება ხდება აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სასამართლოს მეშვეობით; • აგრეთვე ცნობიერების ამაღლების მიზნით მუნიციპალური სერვისცენტრების მეშვეობით ხდება შეხვედრების ორგანიზება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან.
<ul style="list-style-type: none"> • ქ. ბათუმის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხებზე; 	<ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა სახალისო აქტივობების/კამპანიების განხორციელება საბავშვო ბაღებსა და სკოლებში საკითხის აქტუალიზაციის მიზნით; 	<ul style="list-style-type: none"> • 2020 წელი 	<ul style="list-style-type: none"> • ცნობიერების ამაღლების მიზნით ღონისძიებები ხორციელდებოდა აქტიურად, თუმცა ეპიდ. ვითარებიდან გამომდინარე 2020-2021 წლის განმავლობაში შეხვედრები და სხვადასხვა სახის აქტივობები არ განხორციელებულა. • 2018-2019 წლის პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა დასუფთავების აქციები, რომელშიც ჩართული იყვნენ საგანანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, სტუდენტები, მოსწავლეები, საბავშვო ბაღების აღსაზრდელები, არასამთავრო ორგანიზაციები და საჯარო დაწესებულებები. ვრცელდებოდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო ფლაერები, შესაბამისი პლაკატები და პოსტერები განთავსებული იყო მუნიციპალურ ავტობუსებზე. აგრეთვე ტელევიზიით და
	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენების არასწორი მართვის გამოწვეული უარყოფითი შედეგების გაშუქება -მედია საშუალებებით, მიზანდასახულებათა მიღწევისათვის; 	<ul style="list-style-type: none"> • 2020 წელი 	
	<ul style="list-style-type: none"> • რეგულარული ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმართვა ნარჩენების შეგროვების, მათი აღდგენისა და განთავსების საკითხების ირგვლივ; 	<ul style="list-style-type: none"> • 2020 წელი 	
	<ul style="list-style-type: none"> • სემინარების, სწავლებების შეხვედრების და წახალისების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. 	<ul style="list-style-type: none"> • 2020 წელი 	

			სხვადასხვა სოც. ქსელების მეშვეობით აქტიურად უწყდებოდა მიმდინარე აქტივობები.
<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის შესაბამისი თანამშრომლების და შპს „სანდასუფთავების“ სამსახურის უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის კუთხით. 	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე დასწრების წახალისება და უზრუნველყოფა; 	<ul style="list-style-type: none"> • 2020 წელი 	<ul style="list-style-type: none"> • პერიოდულად მიმდინარეობს კომპანიის თანამშრომლებისთვის ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვა, თუმცა კვალიფიკაციის ასაძლიერებლად საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება.
	<ul style="list-style-type: none"> • სულ მცირე 3 კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე თანამშრომლების დასწრების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის მიერ (შესაბამისი შესაძლებლობების მოძიება მუნიციპალიტეტის კადრების განყოფილების მიერ). 	<ul style="list-style-type: none"> • 2020 წელი 	

3.2 დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა

2018-2022 წლების სამოქმედო გეგმის ანალიზის, ძირითადი გამოწვევების და ნარჩენების მართვის სისტემაში არსებული სიცარიელების იდენტიფიცირების შემდეგ, შეხვედრები გაიმართა, როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე კერძო სექტორთან. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის და კერძო სექტორისთვის ყველაზე აქტუალური საკითხების იდენტიფიცირება.

2022 წლის 16 ნოემბერს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართა 3 უბანში: აბუსერიძის, ლერმონტოვის და გრიშაშვილის ქუჩებზე. 17 ნოემბერს სამუშაო შეხვედრა გაიმართა კერძო სექტორთან. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამშენებლო სექტორის, მუნიციპალური სამსახურების და სხვა. წარმომადგენლები.

24 ნოემბერს, ონლაინ შეხვედრა გაიმართა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციებთან, სადაც განხილული იქნა მწარმოებლებისთვის კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებები. აქცენტი გაკეთდა ისეთ საკითხებზე, რომლებიც მუნიციპალიტეტებთან იკვეთება და შესაძლოა გავლენა იქონიოს ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე.

ილუსტრაცია 3-1. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის ფოტომასალა






ილუსტრაცია 3-2. კერძო სექტორთან შეხვედრის ფოტო-მასალა



ილუსტრაცია 3-3. მკვ ორგანიზაციებთან შეხვედრის ფოტომასალა



ადგილობრივი მოსახლეობა ნარჩენების მართვის სიტემის ხარვეზებიდან ყველაზე ხშირად შემდეგ საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას:

- ნარჩენების შეგროვებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განთავსებასთან და მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე და ქცევის კულტურა ნარჩენების მართვის სფეროში;

- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის და სიახლეების გავრცელების დეფიციტი (აღნიშნული საკითხი შესაძლებელია განვიხილოთ როგორც საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ნაწილი);
- საჭირო ტექნიკის და აღჭურვილობის არასაკმარისი რაოდენობა (ძირითადად საუბარია ნარჩენების შეგროვებისთვის განკუთვნილ კონტეინერებზე);
- ზედამხედველობის გაძლიერებისა და საჯარიმო სანქციების გამკაცრების აუცილებლობა.

კერძო სექტორთან შეხვედრის პერიოდში გამოთქმული მოსაზრებების ძირითადი ნაწილი თანხვედრაშია მოსახლეობის მიერ დასახელებულ საკითხებთან. კერძო სექტორთან შეხვედრისას გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი საკითხი, ესენია:

- ნარჩენების სეპარირებასთან დაკავშირებული საკითხები;
- ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები;
- სპეციფიკური და ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

იმ გარემოების გამო, რომ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზეა, მგვ ორგანიზაციებთან ონლაინ შეხვედრა ძირითადად არსებული დაბრკოლებები განხილვას დაეთმო. როგორც ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, ერთერთი მთავარი პრობლემა არაფორმალური სექტორია, რომელიც ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სქემების განხორციელებას შეაფერხებს. მგვ ორგანიზაციები იმედს იტოვებენ, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მჭიდროდ ითანამშრომლებს მათთან დაგეგმილი ამოცანების განხორციელების პერიოდში.

2022 წლის 19 დეკემბერს, ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩა №40-ში მოეწყო წინამდებარე ნარჩენების მართვის საჯარო განხილვა, რომელში მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქ ბათუმში არსებული სხვადასხვა სექტორის და ორგანიზაციის წარმომადგენლები (მონაწილე პირთა ნუსხა მოცემულია [დანართში 4](#)).

ილუსტრაცია 3-4. ნარჩენების მართვის გეგმის საჯარო განხილვის ფოტო-მასალა






შემდეგ პარაგრაფში უფრო დეტალურადაა განხილული ქალაქ ბათუმში ნარჩენების მართვის სიტემის ხარვეზებთან დაკავშირებული საკითხები.

3.3 ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული გამოწვევები

მიუხედავად ბოლო წლებში, ნარჩენების მართვის სფეროში განხორციელებული მრავალი ინიციატივისა, მუნიციპალური ნარჩენების მდგრადი მართვა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე. ნარჩენების მართვის სიტემის ხარვეზები განპირობებულია არაერთი ფაქტორის გამო. ილუსტრაციაზე 3-4 წარმოდგენილია ქალაქ ბათუმში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების ხე, ხოლო შემდეგ პარაგრაფებში მოცემულია ამ პრობლემების ერთგვარი შინაარსი.

ილუსტრაცია 3-5. პრობლემების ხე



3.3.1 ინფრასტრუქტურული ნაკლოვანებები

ნარჩენების შეგროვებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განთავსებასთან და მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემები - ერთერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისთვის განკუთვნილი კონტეინერების განთავსება ბათუმის ისეთ უბნებში, რომლებიც ქალაქის სხვა ნაწილებისგან განსხვავებით შედარებით მაღალი სიმჭიდროვით ხასიათდებიან (უბნები, სადაც სიმჭიდროვე 90 კაცი/ჰა-ზე მეტია, ასეთებია: რუსთაველის, ხიმშიაშვილის და ბაგრატონის უბნები). ეს თავის მხრივ აისახება გადატვირთულ საგზაო მობილობასა და მოუწყვრეგებელ საპარკინგე პოლიტიკაზე, რაც ხშირ შემთხვევაში წარმოქმნის მუნიციპალური ნარჩენების კონტეინერების განთავსებისთვის საჭირო ადგილების დეფიციტს, და, რის გამოც ხშირად ქვეითა გადაადგილებისათვის განკუთვნილი სივრცის ათვისება ხდება.

ილუსტრაცია 3-6. ავტომობილებით ბლოკირებული ნარჩენების კონტეინერები



ილუსტრაცია 3-7. ტროტუარებზე განთავსებული ნარჩენების შეგროვებისთვის განკუთვნილი კონტეინერები



ქალაქის ტერიტორიაზე ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც შპს „სანდასუფთავების“ ნაგავზიდი ვერ ემსახურება დამსვენებლებისა და ადგილობრივების ავტომობილებით ბლოკირებულ მისასვლელებს და ნარჩენებით სავსე კონტეინერების დაცლა შეუძლებელია. გადავსებული კონტეინერებიდან ვრცელდება უსიამოვნო სუნი და ნარჩენები იფანტება გარემოში.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ნარჩენების სეპარირებული შეგროვების არეალის გაფართოების და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, შპს „სანდასუფთავების“ საკუთრებაში არსებული საქმიანი ეზო არ იქნება საკმარისი ნარჩენების შეგროვების პროცესების სრულყოფილი წარმართვისთვის (დამატებითი ტექნიკისა და სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენების გაზრდილი რაოდენობების გამო).

მოსალოდნელია საკითხის უფრო გამწვავდება მას შემდეგ, როდესაც საჭირო გახდება ნარჩენების მართვის კოდექსით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის გაფართოება.

საჭირო ტექნიკის და აღჭურვილობის არასაკმარისი რაოდენობა - მომსახურების არეალის გაფართოება და ნარჩენების სეპარირებულ სისტემაზე გადასვლა თავისთავად გულისხმობს საჭირო ინვენტარის და ტექნიკური აღჭურვილობის დამატების აუცილებლობას. ბათუმის მუნიციპალიტეტების ბალანსზე არსებული ტექნიკური

აღჭურვილობით და ინვენტარით ამჟამად შესაძლებელია არსებულ ნაკადებთან გამკლავება, თუმცა ნარჩენების მართვის კოდექსით და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიით გაწერილი ვალდებულებების შესრულებისთვის აუცილებელი იქნება დამატებითი, სათანადო, ტექნიკა და აღჭურვილობა.

მჭიდროდ დასახლებული უბნების მომსახურებისთვის საჭირო დერეფნების არარსებობა - ერთერთი მწვავე საკითხი, რომელიც უმეტესწილად შედარებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქებისთვისაა დამახასიათებელი, სამშენებლო რეგლამენტების გვერდის ავლის შედეგად შიდა ეზოებსა ან კვარტალურ უბნებში შესასვლელების არარსებობა ან შესასვლელების გაბარიტების უგულვებელყოფაა. ხშირად ასეთ ტერიტორიებზე ვერ შედის დასუფთავების სამსახური შესაბამისი ტექნიკით და კონტეინერების გამოტანა ხდება ხელით. საკითხი უფრო მწვავედ ტურისტულ სეზონზე, როდესაც კონტეინერების დაცლა ხდება უფრო ხშირად და ეს მნიშვნელოვნად ზრდის შრომითი რესურსების მიმართ მოთხოვნებს. აღსანიშნია, რომ ასეთი ტიპის უბნები მათ შორის ვერ იფარება სასწრაფო და სახანძრო მომსახურებითაც.

ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების ნაგავსაყრელების არქონა - ქვეყანაში თითქმის არ არსებობს ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელები. რამდენიმე გამოწვევის გარდა, მუნიციპალიტეტების უმეტესობას არ გააჩნია ცალკე გამოყოფილი ოფიციალური ტერიტორია მსგავსი ნარჩენების განთავსებისთვის. შესაბამისად, ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები ნაწილობრივ განთავსდება არსებულ არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე ან გამოიყენება გარკვეული ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისას ამოვსებითი/მოსწორებითი სამუშაოებისათვის. დიდი ნაწილი კი უსისტემოდ იყრება გარემოში.

„ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის მიზანს (მიზანი 13. ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის გაუმჯობესება) არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება წარმოადგენს, რაც გულისხმობს ინერტული, სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის საკანონმდებლო ბაზის და მონიტორინგის გაუმჯობესებას, ასევე აღნიშნული ნარჩენებისთვის შეგროვებისა და რეციკლირების თანამედროვე მიდგომების დანერგვის ხელშეწყობას.

სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის ხარვეზები საკმაოდ მწვავედაა გამოხატული ქალაქ ბათუმში, რადგან ბოლო რამდენიმე წელია ქალაქში ინტენსიური განაშენიანება მიმდინარეობს. ქალაქ ბათუმს არ გააჩნია ცალკე გამოყოფილი ნაგავსაყრელი მსგავსი კატეგორიის ნარჩენების განთავსებისთვის. ამჟამინდელი მდგომარეობით ნარჩენების ნაწილი არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო ნაწილი კანონის დარღვევით თავსდება გარემოში.

3.3.2 გამოცდილების ნაკლოვანება

მწირი გამოცდილება ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სფეროში - „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის თანახმად 2019 წლიდან მუნიციპალიტეტებს უნდა დაეწყოთ ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს მუნიციპალური ნარჩენების წყაროსთან სეპარირების ჩამოყალიბებული სისტემები. მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული სისტემა ძირითადად ნარჩენების შეგროვებას და ნაგავსაყრელზე განთავსებას მოიცავს.

ქალაქ ბათუმში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სიტემა ვერ პასუხობს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნობრივ მაჩვენებლებს. ქალაქის ტერიტორიაზე მხოლოდ პლასტიკის ბოთლების (45 ერთეული კონტეინერით) და მუყაოს სეპარირებული შეგროვება (ძირითადად კომერციული ობიექტებიდან) მიმდინარეობს, რასაც მხოლოდ მცირე მოცულობებზე გავყავართ.

„ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიაში (მიზანი 5. „ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა“) განსაზღვრულია შემდეგი ნარჩენების რეციკლირების მინიმალური მიზნობრივი მაჩვენებლები:



რეციკლირებადი მასალის ტიპი	2026 წლისთვის	2030 წლისთვის
ქაღალდი	50 %	80%
მინა	50%	80%
მეტალი	80%	90%
პლასტიკი	50%	80%

არსებული მდგომარეობისა და მიზნობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, ნარჩენების სეპარირების სისტემა მნიშვნელოვან გაუმჯობესების საჭიროებს. რაზეც მეტყველებს ბათუმის რეზიდენტთა დამოკიდებულების შესწავლა ურბანულ საკითხებთან დაკავშირებით - ნარჩენების სეპარირების კუთხით.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, ქალაქ ბათუმში, შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სრულწლოვან მცხოვრებლებში ჩატარდა ნარჩენების სეპარირებასთან დაკავშირებული გამოკითხვა. გამოკითხვა ჩატარდა პირისპირი ინტერვიუ CAPI ტექნოლოგიით, რომლის ხანგრძლივობა შეადგენდა 15 წუთს. სულ გამოკითხა 516 სრულწლოვანი რესპოდენტი, რომლებსაც ნარჩენების დახარისხებასთან დაკავშირებით დაესვათ შემდეგი შეკითხვები:


- გსმენიათ თუ არა ნარჩენების დახარისხების პრაქტიკის შესახებ?
- ბოლო 1 წლის გათვალისწინებით თავად თუ დაგიხარისხებიათ ნარჩენები?

გამოკითხვის შედეგები:



ნარჩენების დახარისხებისას შექმნილი პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, იმ რესპოდენტებს, რომლებსაც დაუხარისხებიათ ნარჩენები, შემდეგ კითხვაზე მოუწიათ პასუხის გაცემა: „გთხოვთ დაგვისახელოთ რა სახის პრობლემებს აწყდებით ნარჩენების დახარისხების პროცესში“?



შედეგები:



ბაზა: რესპონდენტები, რომელთაც სმენიათ ნარჩენების სეპარირების შესახებ - 359 რესპონდენტი

შენიშვნა: ნაჩვენებია მხოლოდ ის მიზეზები რაც დასახელდა 3 ან მეტ შემთხვევაში. მონაცემი მეტია 100%-ზე, ვინაიდან, ერთ რესპონდენტს შეეძლო დაესახელებინა 1-ზე მეტი პასუხი.

იმ რესპონდენტებმა, რომელთაც სმენიათ სეპარირების შესახებ, თუმცა არ დაუხარისხებიათ ნარჩენები, ხელისშემშლელ ფაქტორებად დაასახელეს:



ბაზა: რესპონდენტები, რომელთაც სმენიათ ნარჩენების სეპარირების შესახებ - 359 რესპონდენტი

შენიშვნა: ნაჩვენებია მხოლოდ ის მიზეზები რაც დასახელდა 3 ან მეტ შემთხვევაში. მონაცემი მეტია 100%-ზე, ვინაიდან, ერთ რესპონდენტს შეეძლო დაესახელებინა 1-ზე მეტი პასუხი.

ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, შესაძლებელია გამოვყოთ ძირითადი მიგნებები:

- გამოკითხულ ბათუმის მაცხოვრებლებს მესამედს (32%), არ სმენია ნარჩენების დახარისხების შესახებ.

- აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტების, რომელთაც სმენიათ ნარჩენების დახარისხების პრაქტიკის შესახებ, თითქმის ნახევარს (48%) არასოდეს დაუხარისხებიათ ნარჩენები.
- რაც შეეხება ნარჩენების დახარისხებისას შექმნილ პრობლემებსა და ნარჩენების დახარისხების ბარიერებს ორივე შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად დახარისხებისთვის საჭირო ნარჩენების კონტეინერების საკითხი სახელდება.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკის არქონა - ცნობილია, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემადგენლობაში ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება ორგანული ნარჩენები, რომელიც სხვა სახის ნარჩენებთან ერთად ნაგავსაყრელზე თავსდება. „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის, მიზანი 12 – „ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სისტემების ჩამოყალიბება და დანერგვა“, ამოცანები 12.1 და 12.2 ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირების პრაქტიკის დანერგვას და ბიოდეგრადირებადი ნარჩენების ენერჯიად გარდაქმნის ხელშეწყობას გულისხმობს. თუმცა საქართველოს მთავრობის მიერ, დღემდე არ შემუშავებულა ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის სტრატეგია.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ქვეყანას აქვს აღებული ვალდებულება მოამზადოს და განახორციელოს ნაგავსაყრელზე განთავსებული ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებები, შეიმუშავოს საკანონმდებლო ინიციატივები და სხვა პრაქტიკული ხასიათის პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფას.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების შეგროვება და დამუშავება ნაწილობრივ ხორციელდება ცალკეული ინიციატივების (პროექტების) სახით. კომპოსტირების საწარმოები მოწყობილია ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის და ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტებში, რომელთა სიმძლავრეები მცირეა. ასევე, „მწვანე აქტივობების მხარდაჭერა ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარების გზით“ და „ნარჩენების მდგრადი მართვისა და რეციკლირების პრაქტიკის მხარდაჭერა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში“ პროექტების ფარგლებში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის რამდენიმე შინამეურნეს გადაეცა საოჯახო კომპოსტირებისათვის საჭირო აღჭურვილობა და კომპოსტის მომზადებისთვის საჭირო სახელმძღვანელო.

კომპოსტირების მეთოდის დანერგვით ერთი მხრივ მნიშვნელოვნად შემცირდება ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობა და სათბური გაზების ემისია, მეორე მხრივ კომპოსტის გადამუშავებით მიიღება მასალა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბიომეურნეობაში.

ქალაქ ბათუმში წარმოდგენილია რამდენიმე მსხვილი ობიექტი (ბათუმის ბულვარი, ბოტანიკური ბაღი და სხვა გამწვანებული სივრცეები), საიდანაც დიდი რაოდენობით მწვანე ნარჩენები წარმოიქმნება. წარმოქმნილი მწვანე ნარჩენები გროვდება და არსებულ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე თავსდება. მოცემული პრაქტიკა ვერ პასუხობს ნარჩენების მართვის თანამედროვე მოდელს და ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს.

ჩამოყალიბების პროცესში მყოფი „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება“ - ნარჩენების მართვის კოდექსი ითვალისწინებს მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას სპეციფიკურ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ისეთი პროდუქტის მწარმოებელი, რომელიც შემდგომ სპეციფიკური ნარჩენი ხდება და ამ

პროდუქტის ბაზარზე განმთავსებელი, ვალდებულია უზრუნველყოს პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა, მათ შორის რეციკლირება და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება. ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ვრცელდება სპეციფიკური ნარჩენების ექვს ნაკადზე:

1. ბატარეების და აკუმულატორების ნარჩენები;
2. ელექტრო და ელექტრონული ნარჩენები;
3. ნარჩენი ზეთები;
4. საბურავების ნარჩენები;
5. შეფუთვის ნარჩენები;
6. ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები.

მგვ მიჩნეულია მთავარ ფინანსურ და სამოქმედო ინსტრუმენტად, რომელიც ხელს უწყობს რესურსდამზოგავი ეკონომიკის განვითარებას და ნარჩენების მართვის ისეთი სქემის ჩამოყალიბებას, რომელიც შესაბამისობაშია კოდექსით განსაზღვრულ ნარჩენების მართვის იერარქიასთან. ეს მიდგომა მრავალი წლის მანძილზე ფართოდ გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში და საკმაოდ ეფექტიანია.

2020 წლის მაისში მგვ-სთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ოთხი ტექნიკური რეგლამენტი:

- საქართველოს მთავრობის დადგენილება №324, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №326, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №327, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №325, 2020 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი, „საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

რეგლამენტების მიხედვით, ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების, ნარჩენი ზეთების, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების და საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ. რეციკლირების და აღდგენის მიზნობრივი მაჩვენებლების შესრულება სავალდებულოა 2023 წლიდან.

აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილია მწარმოებლების, მგვ ორგანიზაციების და პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის ვალდებულებები და მოთხოვნები, ასევე თითოეული ნაკადის ნარჩენების შეგროვების, აღდგენისა და რეციკლირების მიზნობრივი მაჩვენებლები (იხილეთ [დანართი 3](#)).

ჯერ კიდევ არ არის მიღებული შეფუთვის ნარჩენების და ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტები.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრაქტიკის დანერგვა, როგორც ბათუმის, ასევე ქვეყნის დანარჩენი მუნიციპალიტეტებისთვის კარგი საშუალება იქნება სპეციფიკური ნარჩენების ნაკადების მართვის საკითხებში.

იმის გამო, რომ „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება“ ჩამოყალიბების პროცესშია, მოსალოდნელია, რომ საწყის ეტაპზე ხარვეზებით იმუშავებს (ორგანიზაციების განცხადებით ერთერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი შესაძლოა არაფორმალური სექტორი აღმოჩნდეს) და საჭირო იქნება მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ტექნიკური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტა. მათ შორის აუცილებელია მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობა და საერთო საკითხებზე ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება.

3.3.3 სოციო-კულტურული თავისებურებები

საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე და ქვევის კულტურა ნარჩენების მართვის სფეროში - ნარჩენების მართვის სისტემის გამართულობის ხარისხი პირდაპირ კავშირშია საზოგადოების ცნობიერების დონესთან და ქვევის კულტურასთან ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხების მიმართ. სამწუხაროდ საქართველოში საზოგადოების ცნობიერების დონე დაბალია ნარჩენების მართვის საკითხებში. „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“ (მიზანი 9. ნარჩენების მართვის შესახებ შესაძლებლობების გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება) ერთერთ ამოცანას საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გაუმჯობესება წარმოადგენს.

ხშირ შემთხვევაში საზოგადოების და კერძო სექტორის ნაწილი ნარჩენებით აბინძურებს გარემოს, რის გამოც ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე საკმაოდ მრავლადაა [არაკანონიერი \(„სტიქიური“\) ნაგავსაყრელები](#). ასევე აღსანიშნავია, რომ ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე პლასტიკის ბოთლების და ალუმინის ქილების სეპარირებისთვის განკუთვნილ კონტეინერებში შერეული მუნიციპალური ნარჩენებიც იყრება. მსგავსი შემთხვევები პირდაპირ არის დაკავშირებული მოსახლეობის ქვევის კულტურასთან, რაც არასახარბიელო შედეგებს იძლევა ნარჩენების მართვის სისტემის სათანადოდ ფუნქციონირების თვალსაზრისით.

ილუსტრაცია 3-8. შერეული მუნიციპალური ნარჩენები პლასტიკის ბოთლებისა და ალუმინის ქილების სეპარირებისთვის განკუთვნილ კონტეინერში



ნარჩენების მართვის სისტემის არასათანადოდ ფუნქციონირება ასევე შესაძლებელია დავუკავშიროთ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სიახლეებისა და ინფორმაციის შეზღუდულ გავრცელებას. აღნიშნულ საკითხს ერთერთ მთავარ გამოწვევად ასახელებს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე კერძო სექტორი.

საზოგადოებაში სათანადო ქვევის ჩამოყალიბება და ცნობიერების ამაღლება ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების“ დროული

და თანმიმდევრული განვითარებისთვის. უმჯობესია მგვ ორგანიზაციებმა და მუნიციპალიტეტებმა ერთობლივი ძალებით აწარმოონ შესაბამისი კამპანიები.

მოსახლეობიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების დაბალი მაჩვენებელი - ბევრ მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული ნარჩენების მოსაკრებლის ოდენობა დაბალია (მუნიციპალიტეტებს მიერ მოსახლეობისთვის დადგენილი მოსაკრებელი მერყეობს 0.5 ლარიდან 2.5 ლარამდე. ბათუმში ეს მაჩვენებელი 1.3 ლარია) და ის სრულად ვერ ფარავს ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების და დამუშავების ხარჯებს (თუ არ ჩავთვლით ქალაქ თბილისს, სადაც ამოღების მაჩვენებელი მაღალია და ფარავს გაწეული ხარჯების უმეტეს ნაწილს).

ქალაქ ბათუმში ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების და განთავსების ღირებულების დიდი ნაწილი სუბსიდირებულია მუნიციპალიტეტის მიერ.

ბათუმის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ნარჩენების მოსაკრებლის შეგროვების ეფექტიანი სისტემის მოდელი. მოსახლეობის დიდი ნაწილი უარს აცხადებს გადასახადის გადახდაზე (მოსახლეობიდან ამოღებული დარიცხული მოსაკრებლის მაჩვენებელი არ აღემატება 60%-ს), ხოლო მუნიციპალიტეტს ამ ეტაპისთვის არ გააჩნია შესაბამისი ბერკეტი პრობლემის გადასაჭრელად. კომპანიებზე დარიცხული მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი ბოლო 2 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა - 2021 წელს 96.1 %-მდე, ხოლო 2022 წლის არსებული მდგომარეობით 100% -მდე.

„ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“ მიზანი 6-ის „ნარჩენების მართვის ხარჯების სრული ამოღება „დამზინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად“ მიხედვით თითოეულ მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების სისტემის უნდა გაუმჯობესდეს. ქალაქ ბათუმში, საწყის ეტაპზე, მოსახლეობისთვის დარიცხული მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებლის გაზრდისთვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს ქ. თბილისის მაგალითი, სადაც დასუფთავების გადასახადი მიზნულია ელექტროენერჯის გადასახადს და დასუფთავების გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტს ელ. ენერჯის მიწოდება უწყდება.

3.3.4 ადმინისტრაციული ნაკლოვანებები

არასაკმარისი ბიუჯეტი - ის თანხები, რაც დასუფთავების სამსახურებისთვის არის გამოყოფილი მხოლოდ ამჟამად არსებულ საოპერაციო ხარჯებს ფარავს. არსებული სისტემის გაუმჯობესების, სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვისა და მომსახურების არეალის გაფართოებისთვის საჭიროა დამატებითი თანხები. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების პერიოდში.

ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე - საქართველოს რეგიონების უმეტესობაში ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები სუსტადაა განვითარებული, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქვეყანაში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პროცესების საწყის ეტაპზეა და რეციკლირებადი მასალების საერთო რაოდენობა არაა საკმარისი მცირე თუ დიდი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირებისთვის.

ქალაქ ბათუმში განთავსებულია [ნარჩენების დამუშავების ობიექტი](#), რომლებიც ძირითადად პლასტიკის ნარჩენების გადამამუშავების მიმართულებით მუშაობენ.

აღნიშნული საწარმოები შესაძლოა გაუმკლავდნენ პლასტიკის ნარჩენების ნაკადებს, თუმცა სხვა ნაკადებთან (მინა, სახიფათო ნარჩენები, საბურავები და სხვა) გამკლავება კვლავ პრობლემურია ქალაქ ბათუმისთვის. მოსალოდნელია არსებული სიტუაციის გაუმჯობესება მას შემდეგ, რაც სრულიად შევა ძალაში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებები ნარჩენების ექსპივე ნაკადისთვის.

არაზუსტი მონაცემები ნარჩენების შესახებ - ქვეყანაში არ არსებობს სრული ინფორმაცია წარმოქმნილი, შეგროვებული, ტრანსპორტირებული და დამუშავებული ნარჩენების შესახებ და, შესაბამისად, სრულყოფილი ეროვნული მონაცემთა ბაზა.

შპს „სანდასუფთავების“ მიერ ნაგავსაყრელზე შეტანილი ნარჩენების აღრიცხვა მუდმივად იწარმოება, თუმცა შეტანილი ნარჩენები მოიცავს როგორც მოსახლეობიდან, ასევე კომერციული და საწარმოო ობიექტებიდან შეტანილ ნარჩენებსაც. შესაბამისად არ არსებობს ცალკეული მონაცემები სხვადასხვა წყაროებიდან შეგროვებული ნარჩენების რაოდენობების შესახებ.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სფეროში დასაქმებული კვალიფიციური პერსონალის დეფიციტი - ნარჩენების მართვის არსებული სისტემა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რაც კვალიფიციური პერსონალს მოითხოვს. ერთერთი მიმართულება, რაზეც ბათუმის მუნიციპალიტეტმა და მწარმოებლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ამ სფეროში დასაქმებული პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაა, რაც თავის მხრივ დადებით ეფექტს იქონიებს მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გამართულად მუშაობაზე.

4 2023-2024 წლების დეტალური სამოქმედო გეგმა

მიზანი 1	ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანობის გაზრდა					
ამოცანები			ინდიკატორი			
ამოცანა 1.1	ქალაქ ბათუმში არსებული პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების არეალის გაფართოება			შეგროვებული პლასტიკის ნარჩენების გაზრდილი რაოდენობა - წარმოქმნილი პლასტიკის ნარჩენების საერთო მოცულობის 5%		
ამოცანა 1.2	დამატებითი ტექნიკური აღჭურვილობის შექმნა			ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და დამუშავებისთვის საჭირო დამატებითი ტექნიკური აღჭურვილობა - მინიმუმ 1 ერთეული სპეც. ავტომანქანა და საპრესი მოწყობილობა		
ამოცანა 1.3	მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება			მგვ ორგანიზაციებთან ჩამოყალიბებული სხვადასხვა ტიპის თანამშრომლობა		
ამოცანა 1.4	მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების ოპტიმიზაცია			წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების გაზრდილი ეფექტურობა ნარჩენების მართვის სისტემის ოპერირებისთვის გამოყოფილი თანხები გამოიყენება ეფექტურად		
აქტივობა	შესრულები ს ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანო	პარტნიორი ორგანო	ბიუჯეტი ⁵	დაფინანსების წყარო
ამოცანა 1.1. ქალაქ ბათუმში არსებული პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების არეალის გაფართოება						
1.1.1	პლასტიკის ნარჩენების შეგროვებისთვის ხელსაყრელი ადგილმდებარეობების იდენტიფიცირება	2023	პლასტიკის ნარჩენების შეგროვებისთვის შერჩეული დამატებითი ადგილები	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	-	-
1.1.2	ახალი კონტეინერების შესყიდვა და შერჩეულ ადგილებში განლაგება	2023	ქალაქის ტერიტორიაზე პლასტიკის ნარჩენების შეგროვებისთვის	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	-	420 000 ლარი
						• ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

⁵ მომდევნო წლებში აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო ბიუჯეტის ოდენობა შესაძლოა არ ასახავდეს ზუსტ ოდენობას, რადგან გაანგარიშებულია ბაზარზე ამჟამად არსებული ფასების მიხედვით.

			განლაგებული დამატებით სულ მცირე 350 ერთეული კონტეინერი				
ამოცანა 1.2. დამატებითი ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა							
1.2.1	სეპარირებული ნარჩენების შეგროვებისთვის განკუთვნილი სპეც. ავტომანქანის შეძენა	2023	სეპარირებული ნარჩენების შეგროვებისთვის განკუთვნილი დამატებით 1 ერთეული სპეც. ავტომანქანა	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	-	230 000 -700 000 ლარი ⁶	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დონორი ორგანიზაციები
1.2.2	სეპარირებული ნარჩენების საპრესი მოწყობილობის შეძენა	2023	დახარისხებული ნარჩენების დამატებითი 1 ერთეული საპრესი დანადგარი	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	-	45 000 ლარი	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
ამოცანა 1.3. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება							
1.3.1	მგვ ორგანიზაციებთან ერთად, ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სპეციფიკური ნარჩენების შეგროვების სქემების შემუშავება	2023	სპეციფიკური ნარჩენების შეგროვების სქემები	მგვ ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია 	-	-
1.3.2	სპეციფიკური ნარჩენების შეგროვების სქემების ეფექტურობის კვლევა	2024	ანგარიში შეგროვების სქემების ეფექტურობის შესახებ	მგვ ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია 	ამ ეტაპზე ბიუჯეტის განსაზღვრა შეუძლებელია	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მგვ ორგანიზაციები
1.3.3	ქალაქ ბათუმში არსებულ ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიებთან	2023-2024	ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიებთან ჩამოყალიბებული	მგვ ორგანიზაციები	<ul style="list-style-type: none"> ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია 	-	-

⁶ ტექნიკის ფასი დამოკიდებულია მწარმოებელ ქვეყანაზე, ბრენდზე და მოცულობაზე

	თანამშრომლობის გამლიერება		თანამშრომლობა				
1.4 მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების ოპტიმიზაცია							
1.4.1	ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტურობის კვლევა (იმ ლოკაციების იდენტიფიცირება და აღრიცხვა, სადაც კონტეინერების დაცლასთან და დასუფთავებასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოიშვება; პრობლემატური მარშრუტების შესწავლა; კონტეინერების დაცლის სიხშირესთან დაკავშირებული საკითხები და სხვა)	2023-2024	ნარჩენების შეგროვების ეფექტურობის ანგარიში	ქალაქ ბათუმის მერია	-	30 000 – 40 000 ლარი	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დონორი ორგანიზაციები
1.4.2	ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისთვის ოპტიმალური სქემების შემუშავება, ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის და გადამტვირთავი სადგურის გათვალისწინებით	2023-2024	ნარჩენების შეგროვების და ტრანსპორტირების ახალი, ოპტიმალური სქემები	ქალაქ ბათუმის მერია	<ul style="list-style-type: none"> შპს "აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია" 	ამ ეტაპზე ბიუჯეტის განსაზღვრა შეუძლებელია	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
1.4.3	ახალი საქმიანი ეზოსთვის ტერიტორიის შერჩევა და ინფრასტრუქტურის მოწყობა	2023-2024	დამატებითი საქმიანი ეზოს არსებობა	ქალაქ ბათუმის მერია	<ul style="list-style-type: none"> აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 	ამ ეტაპზე ბიუჯეტის განსაზღვრა შეუძლებელია	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
1.4.4	სახიფათო ნარჩენების ჩაბარების (მიმღები)	2023	სახიფათო ნარჩენების (ბატარეები,	ქალაქ ბათუმის მერია	<ul style="list-style-type: none"> მგვ ორგანიზაცია 	-	-

	ობიექტებისთვის ადგილების შერჩევა		აკუმულატორები, ელექტრონული მოწყობილობები და სხვა) ჩაბარების ობიექტების არსებობა		ბი		
1.4.5	ქალაქ ბათუმში არსებული საპარკინგე პოლიტიკის გამკაცრება და ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის ტექნიკური და ადამიანური რესურსების გაძლიერება	2023-2024	დამატებული სულ მცირე 5 თანამშრომელი და 2 ერთეული ევაკუატორი	ქალაქ ბათუმის მერია	<ul style="list-style-type: none"> შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია 	ამ ეტაპზე ბიუჯეტის განსაზღვრა შეუძლებელია	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
1.4.6	ქალაქ ბათუმში არსებული სამშენებლო სექტორისთვის შესაბამისი მარეგულირებელი რეგლამენტის მიღების ინიცირება ⁷	2024	ქალაქ ბათუმის საკრებულოს დადგენილება	ქალაქ ბათუმის მერია	<ul style="list-style-type: none"> ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო 	-	-

მიზანი 2		ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების სისტემის გაუმჯობესება					
ამოცანები				ინდიკატორი			
ამოცანა 2.1	ნარჩენების მართვის მომსახურებაზე დარიცხული მოსაკრებელის ამოღების მაჩვენებლის გაზრდა			მოსახლეობიდან მოსაკრებელის ამოღების მაჩვენებელი გაუმჯობესებულია მინიმუმ 10%-ით			
აქტივობა	შესრულები ს ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანო	პარტნიორი ორგანო	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო	
ამოცანა 2.1. ნარჩენების მართვის მომსახურებაზე დარიცხული მოსაკრებელის ამოღების მაჩვენებლის გაზრდა							
2.1.1	მოსახლეობისთვის ნარჩენების მართვის მომსახურების ახალი ტარიფის დადგენა და	2023	მოსახლეობისთვის ნარჩენების მოსაკრებელი 1 სულ მოსახლეზე განსაზღვრულია 2 ლარით	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> ქალაქ ბათუმის საკრებულო 	-	-

⁷ შედარებით მჭიდრო უბნებში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის ნებართვის გაცემა გარკვეული პირობებით, რომელიც დაკავშირებული იქნება საკადასტრო ერთეულზე ნარჩენების შეგროვებისთვის საჭირო ტერიტორიის გამოყოფასთან.

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა 2023-2027 წწ.

	დამტკიცება						
2.1.2	სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-სთან შეთანხმება ახალი საგადასახადო სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით (ნარჩენების მოსაკრებელის მიზმა ელექტრო ენერგიაზე)	2023	ნარჩენების მართვის მოსაკრებელის გადახდის ახალი სისტემა	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ 	ამ ეტაპზე ბიუჯეტის განსაზღვრა შეუძლებელია	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს ბიუჯეტი
2.1.3	ნარჩენების მოსაკრებელის გადამხდელად დარეგისტრირების პროცესის გამარტივება	2023	შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა ან ვებგვერდი	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო 	ამ ეტაპზე ბიუჯეტის განსაზღვრა შეუძლებელია	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს ბიუჯეტი დონორი ორგანიზაციები
2.1.4	ნარჩენების მართვის მოსაკრებელზე „ხელმისაწვდომობის დონის“ შეფასება	2024	შეფასებულია მოსახლეობის მხრიდან ნარჩენების მოსაკრებელის გადახდის უნარიანობა	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 	30 000 ლარი	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს ბიუჯეტი დონორი ორგანიზაციები

მიზანი 3	საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ახალი ქცევის ჩამოყალიბება ნარჩენების მართვის საკითხებზე						
	ამოცანები				ინდიკატორი		
ამოცანა 3.1	საზოგადოებისა და ცალკეული მიზნობრივი ჯგუფებში ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება				ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებული გაზრდილი ცნობიერების დონე		
	აქტივობა	შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანო	პარტნიორი ორგანო	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
	ამოცანა 3.1. საზოგადოებისა და ცალკეული მიზნობრივი ჯგუფებში ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება						
3.1.1	მოსახლეობის ცნობიერების დონის არსებული	2023	ცნობიერების დონის შეფასების ანგარიში	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> მგვ ორგანიზაციები 	10 000	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს ბიუჯეტი

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა 2023-2027 წწ.

	მდგომარეობის კვლევა						• დონორი ორგანიზაციები
3.1.2	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის გეგმის შემუშავება	2023-2024	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის გეგმა	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	• მგვ ორგანიზაციები	-	-
3.1.3	ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების შედეგების გასაჯაროება	2023-2024	ყოველწლიური ანგარიში განხორციელებული აქტივობების შესახებ	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მგვ ორგანიზაციები	ამ ეტაპზე ბიუჯეტის განსაზღვრა შეუძლებელია	• ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს ბიუჯეტი
3.1.4	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და საინფორმაციო კამპანიების წარმოება	2023-2024	განხორციელებულია სულ მცირე 5 საგანმანათლებლო პროგრამა და საინფორმაციო კამპანია	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მგვ ორგანიზაციები	ამ ეტაპზე ბიუჯეტის განსაზღვრა შეუძლებელია	• ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს ბიუჯეტი • დონორი ორგანიზაციები

5 2023-2027 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი 1		ნარჩენების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის მართვის სისტემის ჩამოყალიბება					
ამოცანები				ინდიკატორი			
ამოცანა 1.1		ნარჩენების შესახებ ერთიანი ელექტრონული ბაზის წარმოება				ზუსტი მონაცემები წარმოქმნილი, შეგროვებული, აღდგენილი და გადამუშავებული ნარჩენების რაოდენობების შესახებ;	
აქტივობა	შესრულების ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანო	პარტნიორი ორგანო	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო	
ამოცანა 1.1. ნარჩენების შესახებ ერთიანი ელექტრონული ბაზის წარმოება							
1.1.1	ნარჩენების შემადგენლობის სეზონური კვლევა	2024	განსაზღვრულია შეგროვებულ ნარჩენებში რეციკლირებადი მასალების წილი და სეზონური დინამიკა	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> მგვ ორგანიზაციები 	40 000- 50000 ლარი	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დონორი ორგანიზაციები მგვ ორგანიზაციები
1.1.2	ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის ძირითადი წყაროების და ნაკადების იდენტიფიცირება/ აღრიცხვა	2024	მონაცემები ნარჩენების წარმოქმნის და წარმოქმნილი ნარჩენების კატეგორიების შესახებ	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> მგვ ორგანიზაციები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 	-	-
1.1.3	ნარჩენების რაოდენობების და ნაკადების აღრიცხვის ელექტრონული პროგრამის შემუშავება	2025	შემუშავებულია ნარჩენების რაოდენობების და ნაკადების აღრიცხვის სათანადო ელექტრონული პროგრამა/ბაზა	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> მგვ ორგანიზაციები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეგიონული 	ამ ეტაპზე ბიუჯეტის განსაზღვრა შეუძლებელია	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დონორი ორგანიზაციები მგვ ორგანიზაციები

					განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო		
1.1.4	მონაცემთა ბაზების მართვის საკითხებში დასაქმებული პერსონალის გადამზადება	2025-2027	მონაცემთა ბაზების მართვისთვის საჭირო კვალიფიციური პერსონალის არსებობა	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	<ul style="list-style-type: none"> • მგვ ორგანიზაციები • გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 	ამ ეტაპზე ბიუჯეტის განსაზღვრა შეუძლებელია	<ul style="list-style-type: none"> • ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი • დონორი ორგანიზაციები • მგვ ორგანიზაციები

მიზანი 2		ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სიტემის გაძლიერება						
ამოცანები				ინდიკატორი				
ამოცანა 2.1	ქალაქ ბათუმში არსებული ნარჩენების სეპარირებული შეგროვების არეალის გაფართოება			სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენების გაზრდილი რაოდენობა და ნარჩენების ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მოცემულ მიზნობრივ მაჩვენებლებთან შესაბამისობა				
ამოცანა 2.2	მინის, ქალაქის და მუყაოს ნარჩენების სეპარირების სისტემის დანერგვა მოსახლეობაში			შეგროვებული მინის, ქალაქის და მუყაოს ნარჩენების გაზრდილი რაოდენობა				
აქტივობა	შესრულები ს ვადა	აქტივობის შედეგის ინდიკატორი	პასუხისმგებელი ორგანო	პარტნიორი ორგანო	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო		
ამოცანა 2.1. ქალაქ ბათუმში არსებული ნარჩენების სეპარირებული შეგროვების არეალის გაფართოება								
2.1.1	დამატებითი ინფრასტრუქტურის (კონტეინერები, გადამზიდი მანქანები და სხვა) საჭიროების ანალიზი და მათი რაოდენობისა და ტიპის დადგენა	2025	ზუსტი მონაცემების ინფრასტრუქტურული საჭიროებების შესახებ	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მგვ ორგანიზაციები	-	-	

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა 2023-2027 წწ.

2.1.2	ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისთვის განკუთვნილი კონტეინერების შეძენა	2025-2027	ქალაქის ტერიტორიაზე ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისთვის განლაგებული დამატებით სულ მცირე 1500 ერთეული კონტეინერი	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	-	2 000 000 ლარი	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მგვ ორგანიზაციები დონორი ორგანიზაციები
2.1.3	სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო სპეც. ავტომანქანის შეძენა	2025-2027	შეძენილია დამატებით 2 ერთეული სპეც. ავტომანქანა	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	-	1 500 000 ლარი	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
ამოცანა 2.2 მინის, ქალაქის და მუყაოს ნარჩენების სეპარირების სისტემის დანერგვა მოსახლეობაში							
2.2.1	მინის, ქალაქის და მუყაოს ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისთვის ხელსაყრელი ადგილმდებარეობების იდენტიფიცირება	2024	მინის, ქალაქის და მუყაოს ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისთვის განსაზღვრული სულ მცირე 200 ადგილი	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	-	-	-
2.2.2	მინის, ქალაქის და მუყაოს ნარჩენებისთვის განკუთვნილი ახალი კონტეინერების შესყიდვა და შერჩეულ ადგილებში განლაგება	2025-2027	ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული სულ მცირე 50 ერთეული მინის და 150 ერთეული ქალაქის ნარჩენებისთვის განკუთვნილი	ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	-	240 000 ლარი	<ul style="list-style-type: none"> ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი; დონორი ორგანიზაციები.

			კონტეინერი				
